

მაია ლომია რუსულან გერსამია



მაია ლომია

ფილოლოგიის დოქტორი. ივანე ჭავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. მეცნიერული ინტერესის სფერო: ქართველური ენების მორფოსინტაქსი, ეთნოლინგვისტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა. რამდენიმე სამეცნიერო პროექტის, 35-მდე სამეცნიერო პუბლიკაციისა და ერთი მონოგრაფიის („პიპოტაქსის საკითხები მეგრულში“, 2005) ავტორი. თანაავტორი მონოგრაფიებისა: „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ (2010), „ხაზთაშორის მორფემული გლოსირება (მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი)“ (2012).



რუსულან გერსამია

ფილოლოგიის დოქტორი. საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. მეცნიერული ინტერესის სფერო: ქართველურ ენათა ტიპოლოგია, მეგრული და ლაზური ენები, კომპიუტერული ლინგვისტიკა. რამდენიმე სამეცნიერო პროექტისა და 35-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. მისი თანაავტორობით მომზადდა მონოგრაფიები „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ (2010), „ხაზთაშორის მორფემული გლოსირება (მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი)“ (2012).



ილიას
სახელმწიფო
უნივერსიტეტის
გამომცემობა

ILIA
STATE
UNIVERSITY
PRESS

ISBN 978-9941-18-170-2



9 789941 181702 >

საზოგადო კულტურული კონკურენცია კულტურული კონკურენცია

მაია ლომია რუსულან გერსამია



1

საზოგადო კულტურული კონკურენცია

მეგრული ტექსტების
მორფოლოგიური ანალიზი

ნაინგლი
PART 1

მარა ლომია
რუსულან გერსამია

ხაზთაშორის მორფეოგული გლოსირება

(მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი)

INTERLINEAR MORPHEMIC GLOSSING

(Morphological Analysis of Megrelian Texts)

ვუძღვნით ჩვენს მასწავლებლებს:

გურამ კარტოზიას
კორნელი დანელიას
ზურაბ სარჯველაძეს

ნაწილი 1
PART 1



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი – 2012

საზოგადოებრივი გლოსირება
(მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანალიზი)

INTERLINEAR MORPHEMIC GLOSSING
(Morphological Analysis of Megrelian Texts)



დაიბჭებდა იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის (გრანტი №A-43-09) ფარგლებში სსიპ შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და, შესაძლებელია, არ ასახავდეს ქართველოლოგის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდის (რუსთაველის ფონდის) შეხედულებებს.

Published under the project (Grant №A-43-09) of the Ilia State University with financial support of Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the author, and not represent the opinion of the Foundation itself.

© 2012, მაია ლომია, რუსულან გირსაშვილი

სარედაქტო ჯგუფი:
ნინო მატარაძე
სოფია შამუგია
ანა შანავა
ორმა ხარამიშვილი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: მაკა ცომაია

ISBN 978-9941-18-105-4

ISBN 978-9941-18-170-2

UDC (უაკ)811.353.32.366

ლ-815

იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

ნინასიტყვაობა	5
შესავალი	7
1.საკითხის აქტუალობა	7
2. გლოსას რაობისათვის	9
3. გლოსირების მეთოდის განვითარების გზები	10
1. მონაცემთა პაზა და მისი სტრუქტურირების საკითხი	13
1.1. მონაცემთა პაზის აღწერა / გლოსირებული პაზის სტრუქტურირების საკითხები	13
1.2. გლოსირების პრინციპთა განსაზღვრისათვის	16
2. მორცემათა ჯგუფები	16
3. მორცემათა რაგობრივი სტრუქტურა	18
3.1. სახელური მორცემების რანგობრივი სტრუქტურა	19
3.2. ზმნური მორცემების რანგობრივი სტრუქტურა	22
3.3. ხმოვანთა ფუნქციური და ფორმალური გემინაცია	30
3.4. სახელის გლოსირების პრინციპები	36
3.5. ვითარების ზმნიზედის გლოსირება	40
4. მორცემოლოგიური გარდაქმნები და ზმნის გლოსირებასთან დაკავშირებული პრიგლებები	41
4.1. პრეფიქსულ მორცემათა მორცემონოლოგიური ტრანსფორმაციები და მათი ჩანაწერის პრინციპები	42
4.1.1. პირის პრეფიქსულ მორცემებთან დაკავშირებული საკითხები და მათი გლოსირება	43
4.1.2. პირის ნულოვანი ალომორცემების გლოსირებული ჩანაწერი	45
4.1.3. ფონოლოგიური გარდაქმნები პირის ნიშნისა და ფუძის საზღვარზე / ტრანსფორმირებულ ფუძეთ გლოსირებული ჩანაწერი	47
4.1.4. ზმნისწინი, დადასტურებითი და უარყოფითი ნაწილაკების ხმოვნითი ნაწილი და ხმოვანი პრეფიქსები	52

5.	სუფიქსური მორფები და მათი გლოსირება	57
5.1.	ზმნური თემატური სუფიქსები და კაუზატივის მარკერი	58
5.2.	პასივისა და პოტენციალის მარკერების გლოსირება.....	65
5.3.	პირისა და რიცხვის გამომხატველი სუფიქსები	70
5.3.1.	მორფონოლოგიური გარდაქმნები თემის ნიშნისა და მრავლობითობის გამომხატველი -ეს სუფიქსის საზღვარზე	73
5.3.2.	ინვერსიულ ფორმათა ჩანერა	75
5.4.	ემფატიკური ხმოვნები და ენკლიტიკური სუფიქსები	78
6.	ზმნური პარალიტიკის ჩაწერა	85
6.1.	მწკრივის სავრცობი; პარადიგმის მარკერები	85
6.2.	აღნერითი მწკრივები	87
6.3.	თურმეობითების ჩანერა	90
7.	მსაზღვრელ-საზღვრულის შედგენილობა, რიგი და გლოსირების პრინციპები	94
	ძირითადი დასტანციები	100
	SUMMARY	115
	დანართი	132
I.	სახელურ მორფემათა რანგობრივი განლაგების ზოგადი სქემა	132
II.	ზმნურ პრეფიქსულ მორფემათა რანგობრივი განლაგების ზოგადი სქემა	132
III.	ზმნურ სუფიქსურ მორფემათა რანგობრივი განლაგების ზოგადი სქემა.....	133
IV.	ზმნურ სუფიქსთა რანგობრივი მიმდევრობის ცხრილი ...	134
V.	ზმნის გლოსირების ნიმუში ულლების მიხედვით	136
VI.	გლოსირებული ტექსტის ნიმუში	144
VII.	სტანდარტული აბრევიატურის სია	157
VIII.	სიმბოლოები	162
	გამოყენებული ლიტერატურა	163

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც „მეგრული ტექსტების ელექტრონული კორპუსის“ (სამეცნ. პროექტი №A-043-09) ფარგლებში მომზადდა, ისვა ჩვენი ჯგუფის მიერ უფრო ადრე განხორციელებული პროექტის წიაღში, რომლის სამეცნიერო პროდუქტი გახლავთ მონოგრაფია „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ (ავტ: გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, თბილისი, 2010). მასში გაანალიზებულია დიდალი ემპირიული მასალა და მოცემულია თეორიული ცოდნის მდიდარი ბაზა.

ზეპირსიტყვიერება ისეთი ფენომენია, რომელიც დამწერ-ლობასაც უსწრებდა წინ, თუმცა ზეპირმეტყველებაზე (სასაუ-ბრო, სპონტანურ მეტყველებაზე) დაფუძნებული ტექსტების ფიქსაცია მოხდა გაცილებით გვიან. ამის საილუსტრაციოდ ვედური ჰიმნებისა და ჰომეროსის პოემების გახსენებაც საკ-მარისია (გამყრელიძე 1989, 200-201). ამ მხრივ გამონაკლისი არც მეგრული ტექსტებია, მოგვეპოვება XIX საუკუნიდან. ყველასათვის ცნობილია ალ. ცაგარლის, ი. ყიფშიძის, შ. ბერ-იძის, მ. ხუბუას, ტ. გუდავას, კ. სამუშიას, კ. დანელია/ა. ცანა-ვას, გ. კარტოზიას მიერ გამოცემული მეგრული ტექსტები, რომელთაგან ზოგს ქართული ვერსია ახლავს, ზოგიც მის გა-რეშეა. მეგრულის მიმართ მეცნიერული კვლევის ინტერესს იჩენდნენ და ახლაც იჩენენ როგორც ქართველი, ისე უცხოე-ლი სპეციალისტები, რადგან საერთოქართველური კულტურის კომპლექსური კვლევა მეგრულის მონაცემების გათვალისწინებასაც მოითხოვს.

თუკი, ერთი მხრივ, დროის სწრაფი დინება და ტექნიკური პროგრესი დავიწყებისა და გაქრობის საფრთხეს უქმნის ზეპირ-სიტყვიერების ნიმუშებს, მეორე მხრივ, სწორედ მეცნიერებისა და ტექნიკის დღევანდელი დონე იძლევა საშუალებას კომ-

პიუტერული ტექნოლოგიები აქტიურად ჩაერთოს ბუნებრივი ენების ღინგვისტური დამუშავების პროცესში.

სამუშაო განისაზღვრა ორი მიმართულებით: გამოქვეყნებული მეგრული ტექსტების ეფექტურად გამოყენება და დლევანდელი მეგრული მეტყველების ფიქსაცია, დლევანდელი ენობრივი მდგომარეობის რეალიზება ტექსტების სახით, მათი შედარება საუკუნისწინანდელ გამოცემებთან.

შესავალი

1. საკითხის აქტუალობა. ჯერ კიდევ თეორიულ ნაშრომზე („მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“) მუშაობისას წარმოჩნდა პრობლემები, რომლებიც უკავშირდებოდა მორფოლოგიაში დო-აქრონული მონაცემის კვალიფიკაციას სინქრონულ დონეზე (-ლ-თანხმოვნის ჩართვა სახელურ ფუძეებში მრავლობით რიცხვში), სინქრონულ დონეზე წარმოქმნილი ოდენობის სახელდებას ანუ სახელის ფუძის განსაზღვრას (-ი- ხმოვნის ჩართვა სახელის ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის), ტრანსფორმირებული სახელური და ზმნური ფორმების სეგმენტირებასა და კვალიფიკაციას (სიმინწია, კოც, ქუძირუ და ა. შ.). ერთია ამ საკითხთა ლინგვის-ტური ანალიზი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით და მეორეა კონკრეტული მორფოლოგიური სეგმენტის გამოყოფა და განმარტება (გლოსირება) საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით. ცნობილია, რომ სირთულეს ქმნის ნებიშიერი ენის (სამწერლობო თუ უმწერლობო) სინტაქსური კონსტრუქციების, ფრაზეოლოგიური ერთეულების, კომპოზიტების მეორე (თუნდაც მონათესავე!) ენობრივ სისტემაზე გადატანა. ამას ემატება მეგრულში ფონოსემანტიკური მოდელები, რომლებიც სინონიმურ ერთეულთა უწყვეტ ჯაჭვს ქმნიან და ბევრად აჭარბებენ რაოდენობრივად არათუ უცხო, არამედ დანარჩენი ქართველური ენების მონაცემებსაც. ამიტომაც, ქართველ მეცნიერთათვის პრობლემას ვერ ხსნის მეგრული ტექსტის ზოგიერთ გამოცემას თანდართული თვით ყველაზე ადაპტირებული ქართული თარგმანიც კი (გუდავა 1975,5; დანელია/ცანავა 1991,6-11; კარტოზია 2008,5), რადგან მეგრულისთვის დამახასიათებელი ლექსიკურ-სტრუქტურული სპეციფიკა, კონსტრუქციათა თავისებურებანი თარგმანში მეტნილად ჩაკარგულია. რაც შეეხება უცხოელ მკვლევართათვის ხელმისაწვდომ მეგრულ ტექსტებს, უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ცოტაა მეგრული ფოლკლორული ნიმუშების თარგმანები

ევროპულ ენებზე; თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, თარგმანი ვერ ასწორებს თავისთავად არსებულ ხარვეზს. ამას ემატება ქართველ მეცნიერთა უცხოენოვანი გამოცემის ხვედრითი წილის სიმულირე. საერთაშორისო ტიპოლოგიურ კვლევაში ქართველური ენების, მათ შორის მეგრულის, მონაცემთა გათვალისწინებისთვის ხელშეწყობა საშური და გადაუდებელი საქმეა.

დღეს ძალზე აქტუალურია ბუნებრივი ენების დამუშავების პროცესში კომპიუტერული ტექნოლოგიების ჩართვა (რომელიც ითვალისწინებს როგორც ტექსტების კომპიუტერიზაციას – ტექსტური ბანკის/მონაცემთა ბაზების განთავსებას კომპიუტერში, ისე მათ ლინგვისტურ დამუშავებას) და კვლევა-ძიების თანმხლებად მეტაენის გამოყენება. მორფემის შესაბამისი გლოსა მომხმარებელს სიზუსტით მიაწვდის გრამატიკულ ინფორმაციას (LGR 2008; Lehmann 1982; Lehmann 2004);

ჟანრულად და კილოურად მრავალფეროვანი მეგრული ტექსტების მორფოლოგიური ანოტირება პირველად განხორციელდა ჩვენი პროექტის ფარგლებში, ვრცელი მასალის მიხედვით (რაც თავისთავად არის მეგრულის დამახასიათებელი მორფოლოგიური მონაცემების, მათ შორის თავისებურებების, წარმოჩენის გარანტი) შესაბამისად, მორფოლოგიური ანოტირების პრინციპებზე პირველად იქნება წინამდებარე წიგნში საუბარი¹.

მიზანი. პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაო მიზნად ისახავდა მორფოლოგიური კატეგორიების მომცველი გლოსირების სისტემის შექმნას. გლოსირებული ჩანაწერი სიტყვა-ფორმის გრამატიკული დახასიათებაა, რადგან გლოსა არის გარკვეული გრამატიკული ინფორმაციის შემცველი. მეტაენის საშუალებით შესაძლებელი ხდება ერთი ენის გრამა-

1. ფალეულ ავტორთან ნაშრომებში მოცემული გლოსირებული მეგრული ფორმების შესახებ მსჯელობა მოცემულია საკითხის ისტორიისთვის განკუთვნილ პარაგრაფში.

ტიკული სტრუქტურის ზუსტად დახასიათება-გადატანა მეორე ენაზე (LGR 2008), ანუ, როგორც მას უწოდებენ, „ერთი ენის გრამატიკული სტრუქტურის იდენტიფიცირება მეორე ენაზე“ (Lehmann 2004) ისე, რომ ხელმისაწვდომი და გასაგები იყოს საანალიზო ენის საკითხებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, თარგმანი ვერ უზრუნველყოფს (გუდავა 1975, 5; დანელია-ცანავა 1991, 6-11; კრტოზია 2008, 5). სწორედ ამიტომ მიიჩნევა ეს მეთოდი ერთ-ერთ ღირებულ საანოტაციო პარამეტრად კომპიუტერულ ბაზაში განთავსებული ენობრივი მასალისათვის (ასათიანი 2008). გლოსირების უმთავრესი მიზანია დაეხმაროს მკვლევარს ენის სიღრმეების – „ენის სულის“ („the spirit of the language“) წვდომა-ში. გლოსირების საშუალებით შესაძლებელია იმ ლინგვისტური არგუმენტების კონტროლი, რომელთაც ავტორი სთავაზობს მომხმარებელს.

ჩვენი პროექტის ფარგლებში მონაცემთა ბაზის სტრუქტურა და საანოტაციო პარამეტრები განისაზღვრა იმგვარად, რომ წარმოდგენილი მასალა ხელმისაწვდომი ყოფილიყო არა მხოლოდ ქართველი ან ქართულის მცოდნე მკვლევრებისთვის, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული მეცნიერისთვის.

2. გლოსას რაობისათვის

პრეისტორია. გლოსა (gloss) ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს შენიშვნას, განმარტებას. თავიდან გლოსას თავად უცხო თუ გაუგებარ სიტყვას უწოდებდნენ. შემდეგ განმარტების სახელად დამკვიდრდდა. განმარტება უცხო სიტყვის ზევით ან ქვეშ იწერებოდა. ეს იყო ინტერლინეალური ანუ ხაზთაშორის გლოსა¹. გლოსები იწერებოდა ხელნაწერის თუ წიგნის ველზეც

1. ლინგვისტიკაში დამკვიდრდა სწორედ ხაზთაშორის მორფემული გლოსა, ოლონდ მისი აფეთქებულია, განსამარტი სიტყვის ქვეშ იწერება.

(მარგინალური გლოსა). ბერძნებმა გლოსა გამოიყენეს ჰომეროსის პოეზიის შესასწავლად, შემდეგ ბიბლიის ცალკეული ადგილებისა და იურიდიული ტექსტების განმარტებისათვის. VI-VIII საუკუნეებში ცნობილი იყო ლათინური გლოსები. ძველ წერილებს გლოსების საშუალებით განმარტავდნენ გერმანელები, რომაელები და სხვები. გლოსირება შესაძლებელი იყო ორ ან სამ ენაზეც. განმარტების ანუ გლოსების ლექსიკონს ეწოდებოდა გლოსარიები (ЛЭС, 1990, 107).

3. გლოსირების მეთოდის განვითარების გზები. გლოსირების მეთოდი ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა. მას ჰყავს წინამორბედი დესკრიფციული ენათმეცნიერების სახით, რომლის მიზანი იყო ამა თუ იმ ენის ფორმალური აღწერა. ადრეული გრამატიკები იწერებოდა სახელმძღვანელოებად. ძველი მეცნიერული გრამატიკები (ლათინური, ბერძნული, არაბული.....) განკუთვნილი იყო შემსწავლელთათვის და ასეთ შემთხვევაში გლოსირების საკითხი არ იდგა, მაგრამ ეს საკითხი მაშინვე დადგა დღის წესრიგში, როგორც კი გამოიკვეთა, რომ მომხმარებელი (მკვლევარი) არ იცნობს განსახილველი ენის მორფოლოგიას დეტალურად. მკვლევარს სჭირდება მზა ინფორმაცია ამა თუ იმ ენის კონკრეტული გრამატიკული მახასიათებლის შესახებ.

ვილჰელმ ფონ ჰემბოლდტთან 1836 წელს ჩნდება თანამედროვე გლოსირების ჩანასახები, ანუ მცდელობა იმისა, რომ დაეხმაროს მკვლევრებს მეორე ენის მნიშვნელობის მატარებელი ელემენტების იდენტიფიცირება მოახდინოს პირველი ენის მორფებთან (მოგვიანებით, 1963 წელს გამოცემულ წიგნში აისახა გლოსირების ჰემბოლტისეული მეთოდი, ე. წ. ნუმერაცია) (Humboldt 1836 [1963]:534). ფრანც ნიკოლაუს ფინკი 1909 წელს აქვეყნებს პუბლიკაციას, რომელშიც მოცემულია გლოსირების სტილის ილუსტრაცია თურქული ენის მასალაზე (Finck 1909). ლეონარდ ბლუმფილდის „ენაში“ („Language“)

ასევე უხვად არის მოცემული ამ ტიპის მაგალითები (Bloomfield 1933:278).

პირველი ტრაქტატი აღნიშნული საკითხის გარშემო ეკუთვნის ქრისტიან ლემანს (Lehmann 1982); მომდევნო პერიოდის ნაშრომების ავტორები არიან: Simons & Versaw 1988, Lehmann et al. 1994, Lieb & Drude 2000, Bickel et al. 2004. ამ საკითხზე ყველაზე სრული მსჯელობა მოცემულია ქრისტიან ლემანის ბოლოდრო-ინდელ ნაშრომში, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ზე-მოხსენებული ავტორის ნაზრევი (Lehmann 2004). „ენის აღნერის“ „კორპუსზე დაფუძნებული“ მეთოდი შეიძლება ჩაითვალოს სტრუქტურული ლინგვისტიკის დესკრიფიციული მეთოდის გაგრძელებად და შემდგომ განვითარებად“ (ლოლაძე 2008)¹.

მეგრული სიტყვა-ფორმების / ტექსტების განმარტება (გლო-სირება) საერთაშორისო სტანდარტით (საკითხის მიმოხილვა/შესწავლის ცდა).

Armazi-ის პროექტის ფარგლებში (კოორდინატორები ი. გიპერტი, მ. თანდაშვილი, მაინის ფრანკფურტი) მოცემულია ქართველური ენების, მათ შორის მეგრულის, ტექსტები. მონაცემთა ბაზაში განთავსებულია ყველა გამოცემული მეგრული ტექსტი, რომელიც მოიცავს ზუგდიდურ-სამურზაყანულ და სენაკურ დიალექტურ მასალას უანრული სახესხვაობით. გლო-სირებულია არსებითი სახელი და ზმანა რამდენიმე ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით; ესენია: ბრუნვა, რიცვი, დრო (აწმყო, წყვეტილი). აღნიშნული ბაზა ფუნქ-ციონირებს შუბოქსის პროგრამის ფარგლებში (<http://www.Uni-frankfurt.de/armazi/>)

საცდელი პროექტი „კავკასიური ენების მონაცემთა ბაზა“

1. გლოსემატიკა, როგორც ლინგვისტური თეორია, სტრუქტურალიზმის ყველაზე თანმიმდევრულ გამოვლინებად ითვლება დასავლეთევროპულ ენათმეცნიერებაში. გადამუშავდა [გასული საუკუნის] 30-50-იან წლებში ლიელმსლევისა და ხ. ულდალის, აგრეთვე (ნაწილობრივ) კოპენაგენის ლინგვისტური წრის სხვა წევრების მიერ (დაწვრ. მსჯელობა ამ თეორიის შესახებ იხ. ლეს, 1990, 107-108).

ლუნდის უნივერსიტეტის (შვეიცარია) ენათმეცნიერების ინ-
სტიტუტში განხორციელდა და მიზნად ისახავდა ოთხ ენაში,
მათ შორის მეგრულში, შექმნილიყო მორფოლოგიური კატე-
გორიების მომცველი გლოსირების სისტემა. ბაზა შექმნილია
მცირე მოცულობის მასალაზე – სულ დაახლოებით ექვსასი წი-
ნადადებაა წარმოდგენილი. მეგრული მასალა აღებულია გამო-
ქვეყნებული სტატიებიდან, ჩანერილია მხოლოდ ლათინური
ტრანსლიტერაციითა და ორმაგი გლოსირების წესით. ერთი
მხრივ, განმარტებულია თითოეული მორფემა, მეორე მხრივ,
აღნიშნულია ის გრამატიკული კატეგორიები, რომელიც
მთლიანად სიტყვაფორმით არის გამოხატული. მაგალითად,
ზმნური ფორმა შეჭამა დაშლილია ასე:

შე	ჭამ	ა
ზმნისწინი	ძირი	III სუბიექტური პირის ნიშანი

S3მხ. O3მხ. ჭამა. წყვეტილი

ორმაგი ანალიზი მომხმარებელს საშუალებას აძლევს ეძი-
ოს მასალა როგორც მორფემების, ასევე გრამატიკული კატ-
ეგორიების მიხედვითაც (ვამლინგი და სხვ. 2009).

1. მონაცემთა პაზის სტრუქტურირების საკითხი

1. 1. საექსპედიციო მონაცემთა პაზი. 2006 წლიდან 2011 წლის ჩათვლით მიმდინარე ორივე პროექტი ითვალისწინებდა ლინგვისტურ ექსპედიციას სამეცნიეროში. 2007-2011 წლებში მოპოვებული მასალა მოიცავს სამეცნიეროს ყველა არეალს და წარმოდგენილია 147 ინფორმატორით. მთლიანი ქრონომეტრაჟი თითქმის 103 საათია. მასალა უანრული მრავალფეროვნებით გამოიჩინება: პროზაული და პოეტური ტექსტები, დიალოგები, ანდაზები, გამოცანები. ყველა ეს ტექსტი გაშეიტრულია, ახლავს ქართული ვერსია და არსებობს ფაილების სახით. ეს არის თანამედროვე მეგრული მეტყველების ამსახველი დოკუმენტირებული პაზი, რომელიც განთავსდება ინტერნეტმისამართზე: <http://www.klr.ge>.

გლოსირებული მონაცემთა პაზი. მონაცემთა პაზის სტრუქტურა და ენობრივი მასალის საანოტაციო პარამეტრების პრინციპები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მასალის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას. ექსპედიციების შედეგად დაგროვილი მასალის გლოსირება, ცხადია, ერთი პროექტის ფარგლებში შეუძლებელია. თანაც, დაცული რომ ყოფილიყო ქრონოლოგის პრინციპი, საანოტაციოდ შეირჩა გამოცემული მეგრული ტექსტები კილოური სისრულის, თემატური და უანრობრივი მრავალფეროვნების შენარჩუნებით; კერძოდ, ალ. ცაგარლისა და ი. ყიფშიძის ყველა ტექსტი, შერჩევითაა: მ. ხუბუას ტექსტები, ტ. გუდავას მეგრული პოეზიის ნიმუშები, ქართული ხალხური სიტყვიერების (მეგრული ტექსტების) || ტომიდან (კ. დანელია, ა. ცანავა) გამოცანები, ანდაზები, შელოცვები.

წინასწარ შერჩეულ მეგრულ ტექსტებს ცალ-ცალკე ენტებათ პირობითი კოდი¹, რომელიც აერთიანებს აბრევიატურას შემდეგი მონაცემებით: ტექსტის გამოცემა, ტექსტისთვის

1. პაზაში განთავსებული გლოსირებული მეგრული ტექსტების კოდი გამოცემების მიხედვით: ალ. ცაგარლისა – A, ი. ყიფშიძისა – B, მ. ხუბუასი – C, ტ. გუდავასი – D, კ. დანელია, ა. ცანავასი – E.

ბაზაში მინიჭებული რიგითი ნომერი, ტექსტის გამომცემლის გვარის ინიციალი და ტექსტის ნომერი გამოცემაში. მაგალითისთვის, ერთ-ერთი აბრევიატურის ჩანაწერი ასეთია – B.5.Q.V და შემდეგნაირად იშიფრება: კოდის პირველი ნაწილი B.5 ნიშნავს ი. ყიფშიძის ქრესტომათის გამოცემას (B) და ჩვენ მიერ ტექსტისთვის მინიჭებულ რიგით ნომერს (5); მეორე ნაწილი - Q.V. ტექსტის გამომცემლის (ი. ყიფშიძის) გვარის ინიციალს (Q) და საკუთრივ გამომცემაში ტექსტის ნომერს (V). საკუთრივ აბრევიატურის ან აბრევიატურის ქვევით მოცემული ბმულის, „განმარტება“, გააქტირებისას გამოდის დამხმარე ფანჯარა და შეიცავს გლოსირებული ტექსტების არაენობრივ მახასიათებლებს; ესენია: ექსტრალინგვისტური (ცნობები ტექსტის მომპოვებლის, ავტორის, მასალის ჩანერის დროისა და ადგილის, მთემელის ასაკის შესახებ და ა.შ.); გეოლინგვისტური (ცნობები რაიონის, სოფლის, კილოს, კილოკავის შესახებ); ტიპოლოგიურ-თემატური (ტექსტის ტიპი, ჟანრი, თემა და ა. შ.); არაენობრივ მახასიათებელთა ნუსხას დაემატება ცნობები იმ გამოცემის/გამოცემების შესახებ, რომელშიც/რომლებშიც ესა თუ ის ტექსტი თავიდანვე იყო მოცემული ან გადაბეჭდილია).

ტექსტი დაყოფილია წინადადებებად, რომელთაც ენიჭებათ სპეციალური ინდექსი: 1,2,3.... თუკი წინადადება მოცულობით დიდია, მაშინ იყოფა ნაწილებად (ძირითადად ორად ან სამად, ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მეტადაც). ნაწილებად დაყოფილისას წინადადების ინდექსი არ იცვლება, ნაწილები ზუსტ-დება სპეციალური სიმბოლოებით: a, b, c...და ინდექსის საბოლოო სახე ასეთია: 1a, 1b, 1c.

პროგრამის მენიუში წარმოდგენილია კომპონენტები. თითოეული მათგანი წარმოადგენს ბმულს, რომლის გააქტიურებისას გამოდის ფანჯარა შესაბამისი ინფორმაციით:

- **მეგრული ტექსტების სარჩევი** (მოცემულია გლოსირებული მეგრული ტექსტების ჩამონათვალი და გაშიფრულია აბრე-

ვიატურები)

- **გლოსირების საერთაშორისო სტანდარტი** (ინფორმაცია საყრდენი საერთაშორისო სტანდარტის შესახებ)¹;
- **შემოკლებათა განმარტებები** (აქ ნაგულისხმევა მორფემათა შესაბამისი გლოსების განმარტება; მაგ., NOM=Nominative);
- **სიმბოლოთა განმარტებები** (გლოსირების ჩასაწერად გამოყენებული სიმბოლოების განმარტება).

საკუთრივ მეგრული ტექსტი მუშავდება საანოტაციო ერთეულებად შერჩეული შემდეგი პარამეტრების მიხედვით:

- წინადადების ჩანაწერი
- მორფებად დაშლილი მიმდევრობები
- მორფემის შესაბამისი გლოსები
- მეტყველების ნაწილების მიხედვით ანოტირებული ჩანაწერი
- ქართული თარგმანი (ანბანური ჩანაწერით)
- ონგლისური თარგმანი

მორფემებად დაშლილი მიმდევრობები ჩაწერილია საერთაშორისო სტანდარტით მიღებული სიმბოლოების მიხედვით. ჩვენს მონაცემთა ბაზაში გამოყენებულია რამდენიმე:

- > < (კონფიგურაცია)
- < > (ინფიგურაცია)
- = (კლიტიკა)
- – (მორფემათა საზღვარი)
- . (გრამატიკული კატეგორიის საზღვარი)

1. ლაიფციგის გლოსირების წესები შემუშავებულია ლაიფციგის მაქს პლანკის ინსტიტუტისა (ბ. კომრი, მ. ჰესპელმათი) და ლაიფციგის უნივერსიტეტის (ბ. ბიკელი) მიერ. ეს სტანდარტი ასევე მიღებულია Eurotyp-ში, რომელიც ტრანსკრიფციების შესახებ ინსტრუქციებს მოზმარებლისათვის მოსახერხებელ ფორმატში წარმოადგენს. აბრევიატურების ჩამონათვალში Eurotyp-სა და DO-BES-ში მოცემული აბრევიატურების მცირე ნაწილია შეტანილი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია შემდეგ ვებგვერდზე: <http://www.eva.mpg.de/lingua/files/morphaeme.html>.

- : (ფორმისა და ფუნქციის შეთანადება/შეხამება).
- + (მორფემის/მორფემების მიერთება ფუძესთან)¹

1.2. გლოსირების პრინციპთა განსაზღვრისათვის

ტექსტების მორფოლოგიური ანოტირება ანუ გლოსირება გულისხმობს სიტყვათორმის დახასიათებას მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით. მორფემული სეგმენტაცია და სეგ-მენტის გლოსირება საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის-ად მოითხოვს როგორც გრამატიკის თეორიული საკითხების ცოდნას, ასევე საერთაშორისო სტანდარტების ფლობასაც. მეგრული ტექსტების მორფოლოგიური სეგმენტაცია ხდება სინქრონიულად. მუშაობის დროს ვითვალისწინებთ დიაქრო-ნიულ ვითარებას და აღვადგენთ ამოსავალ ფორმას (იგივე ეტიმოლოგიურ ხაზს).

2. მორფემათა პგუფები

მეგრულში გამოიყოფა აფიქსურ მორფემათა ოთხი სახე: პრეფიქსი, სუფიქსი, ინფიქსი, კონფიქსი. აღნიშნული დასახ-ელებები სახელურ თუ ზმნურ სტრუქტურაში მორფემის ადგ-ილზე მიუთითებს. ფუნქციური თვალსაზრისით კი მორფემათა ორ ჯგუფად, ლექსიკური (დერივაციული) და გრამატიკული (რელატიური), დაყოფა ყველაზე გავრცელებულია (კარტოზია და სხვ., 2010, 101)².

1. **ლექსიკური (დერივაციული)** მნიშვნელობის მორ-ფემები აერთიანებს ძირეულ და ლექსიკური მნიშვნელობის

1. ფუძესთან პლუსით მიერთებულ მორფემას გლოსა არ ენიჭება.
2. გამოყოფებ მირგვებითა მესამე ტექსაც, რომელიც ერთდროულად, ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობების გამო, კვალიფიცირებულია ლექსიკურ-გრამატიკულ მორფემებად. დაწვრილებით იხ. დამერი 1982, 26.

მანარმოებელ, წარმომქმნელ აფიქსებს. სემანტიკური თვალ-საზრისით დერივაციული აფიქსები მეგრულში თორმეტ სხვადასხვა ჯგუფს ადგენენ (კარტოზია და სხვ., 2010, 101);

2. გრამატიკული (რელატიური) მორფემების ფუნქციაა განსაზღვროს გრამატიკული მიმართებები ფრაზაში; სახელის სტრუქტურაში ეს იქნება პრუნვისა და რიცხვის ნიშანი; ქცევის, გვარის, კონტაქტის / კაუზატივის მორფემები, ზმინისწინები და ნაწილაკები, გეზის, ორიენტაციის, ასპექტის ამსახველი ფორმალური ნიშნები, პირის, პარადიგმის || მწვრივის ნიშნები (კავშირებითები, პირობითები, აორისტი, ნო-ე პრეფიქსიანი თურმეობითები), თემის ნიშნები.

ჩვენი გამოკვლევის თანახმად, ცალკე ჯგუფს ქმნიან:

1. **ფონეტიკური ჩანართები** (ეპენთეზა¹, ობლიგატი²), რომელთა გაჩენას ფონოლოგიური საფუძველი აქვს, მათ მორფოლოგიური ფუნქცია არ გააჩნიათ.

2. **მორფოსინტაქსური ელემენტები:** ნაწილაკები, თანდებულები და კავშირ-ენელიტიკები, რომლებიც სახელებსა და ზმნებთან, ცალკეულ შემთხვევებში, გაიაზრება მორფემებად (იხ. შესაბამისი ცხრილები დანართში).

დერივაციული აფიქსი მნიშვნელობის მცვლელია და, ამდენად, წარმოქმნილი სახელი სემანტიკურად სხვა ფუძეა, მაშინ, როცა რელატიური მორფემების ფუნქციაა განსაზღვროს მიმართებები ფრაზაში.

1. ეპენთეზა - ძვ. ბერძნ. ოπენთესი - „ჩაჩრა“. ლინგვისტიკაში ფონემის ჩასმა ორ კონსონანტს მორის წარმოთქმისა და ალტის გასაადვილებლად. ლათინური: sum-p-sit < sumsit “ალტა, დაჭრა, შეგროვება”; ბერძნული: an-d-ros < anros “მისაკაცი”, გერმანული: eigen-t-lich < eigentlich “ნაძღვილი”. ეპენთეზა ნააგას ანატოქსას, რც ნიშავებს ბროვნის განვითარებას ორ კონსონანტს შორის. გერმანული: fün-e-f < fünf „ხუთი“. (Metzler-Lexikon Sprache, 2005 Helmut Glück (Ed.). Metzler, Stuttgart/Weimar). ეპენთეზას მოიხსენიებენ ასევე როგორც ჰამატუსის-ამრიდს: ამერიკა > „ამერიკულ“ უნდა იყოს: amerika-isch, არადა გაქვს: amirika-n-isch „ამერიკელი“, იმიტომ, რომ amerik[a]-isch ჰამატუს არ შედგის (Hadumod Büttmann, Lexikon der Sprachwissenschaft, 2008. Kröner, Stuttgart).

2. ვიყენებთ თანხმოვანთგამყარის მნიშვნელობით.

3. მორფოგათა რანგობრივი სტრუქტურა

მორფემათა რანგობრივ სტრუქტურაზე მსჯელობისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს დერივაციული და რელატიური მორფემები, რადგან ისინი ფუნქციურად განსხვავებულია. დერივაციული ფუძე სემანტიკურად ახალი ფუძეა, რომელსაც მიმართების დასადგენად დამატებით სჭირდება დართვა რელატიური ანუ სხვა ტიპის მორფემებისა, რომელთაც აქვთ გრამატიკული მნიშვნელობა და არა სემანტიკურად განსხვავებული, მნიშვნელობით ახალი ლექსემის წარმოქმნის ფუნქცია; თუ ძირეული მორფემა აღინიშნება R ნიშნით (ლათ. Radix „ძირი“), წარმოქმნილი ფუძის ჩასაწერად შემოღებულია განსხვავებული Ř აღნიშვნა, რაც ნიშნავს, რომ ძირეული მორფემა ნაწარმოებია, დაგრძელებულია ოდენ ლექსიკური მნიშვნელობის მქონე აფიქსებით (დამერია 1982, 26; 45):

ფუძე = ძირეული მორფემა (R)

ან

ფუძე = ძირეული მორფემა + დერივაციული მორფემა (R).

მაშასადამე, ფუძეთა მორფოლოგიური სეგმენტირებისა და შესაბამისი გლოსირების დროს რელევანტურია ახალი მნიშვნელობის ფუძე და არა ძირისეული მორფემა:

შდრ.:.

(1) ქა-Ø

რქა-(NOM.SG)

ქა-ქ

რქა-ERG. SG

(2) ქალამ-ი

რქიანი- NOM.SG

ქალამ-ქ

რქიანი-ERG. SG

(3)	კოჩი-ი კაცი-NOM.SG	კოჩ-ქ კაცი-ERG. SG
(4)	კოჩანა-Ø კაცობა-(NOM.SG)	კოჩანა-ქ კაცობა-ERG. SG
(5)	კოჩანიერ-ი კაცური- NOM.SG	კოჩანიერ-ქ კაცური-ERG. SG

დასკვნა: ვინაიდან დერივაცია (ფუძის წარმოქმნა) და კანკ-ლედობა (მიმოხრა) სხვადასხვა ტიპის მოვლენებია, რანგობრივ სტრუქტურაზე მსჯელობისას შესაბამისი აფიქსებიც უნდა გაიმიჯნოს¹.

3.1. სახელური მორფემების რანგობრივი სტრუქტურა

მეგრულში მორფემები განლაგებულია ფუძის წინ და მომდევნოდ რანგების შესაბამისად. სახელური მორფემები მხოლოდ სუფიქსურია, ზმნური კი შეიძლება იყოს პრეფიქსული, სუფიქსური, ინფიქსური და კონფიქსური. ამდენად, მეგრული ენის ზმნური სტრუქტურა გაცილებით რთულია, ვიდრე სახელისა.

მეგრულში სახელის მორფოლოგიური რანგირებისას მორფემები განლაგდება მხოლოდ ფუძიდან მარჯვნივ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ენაში სახელს დართული მორფოლოგიური სეგმენტები მხოლოდ სუფიქსური მორფემებია. კონკრეტულად: ბრუნვისა და რიცხვის აღმნიშვნელი მარკერები, ფონეტიკური ჩანართები (თანხმოვანთგამყარი -ი მხოლობითის ფუძეში, ხმოვანთგამყარი -ლ - მრავლობითში), თანდებულები, ნაწილაკები, მავრცობი ხმოვნები:

1. შდრ. კარტოზია და სხვ., 2010, 102-103.

(1)	კოჩი	ქა-Ø
	კაცი-NOM.SG	რქა-NOM.SG
(2)	კოჩეფი	ქა-ლ-ეფ-ი
	კაცი-PL-NOM	რქა-EP-PL-NOM
(3)	კოჩეფსი	ქა-ლ-ეფ-ს-ი
	კაცი-PL-DAT-EV	რქა-EP-PL-DAT-EV
(4)	კოჩეფსითი	ქა-ლ-ეფ-ს-ი-თი
	კაცი-PL-DAT-OBL-PTC	რქა-EP-PL-DAT-OBL-PTC

სახელებში მორფემათა რანგობრივი განლაგების ყველაზე გრძელ მიმდევრობას ასეთი სახე აქვს: R-I-II-III-IV-V-VI-VII; ¹ თუმცა ეს სინტაგმატური განლაგება გარკვეული წესების შესაბამისად იზღუდება. ამავე დროს, ერთდროულად რეალიზებად მორფემათა რიცხვი შვიდიც შეიძლება იყოს. ერთ რანგში გაერთიანებული მორფემები ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია².

სახელური სუფიქსები რანგების მიხედვით ასე ნაწილდება:

I. ფონეტიკური ჩანართების რიგი: თანხმოვანთგამყარი (/ობლიგატი / ანაპტიქსი) -ი (OBL); ხმოვანთგამყარი (|| ეპენ-თეზა) -ლ (EP);

II. რიცხვის მარკერი (-ეფ || -ემ || -ენ) (PL);

III. ბრუნვის მარკერი (-ი, -ქ, -ს, -იშ/-შ || -იში/-ში, -იშა/ -შა,

-
1. სქემა ზოგადად აღნიერს მორფემათა განლაგებას. ცხადია, ყველა მორფემის რეალიზება ერთ მიმდევრობაში შეუძლებელია, აღნიშნული მხოლოდ პოსტულირებული სამუშაო სქემაა.
 2. სახელთა რანგობრივი სტრუქტურის აგებისას სიახლეს წარმოადგენს უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული კვლევის (კარტოზია და სხვ. 2010) საფუძველზე ორი ახალი მორფემული ელემენტის სეგმენტირება და მისი ჩართვა რანგობრივ სტრუქტურაში. იგულისხმება თანხმოვანთგამყარი -ი - სახელთა ბრუნებისას არაკანონიკურ კომპლექსთა სუპერაციისთვის ჩართული ობლიგატი და ხმოვანთგამყარი -ლ, რომელიც მეგრულის მრავლობითი რიცხვის 28 სახელურ ფუძეში ჩნდება პიატუსის ასაცილებლად.

-იშე/-შე, -იშოთ/-შოთ; -ით || -თი; -თ || -ო;

IV. მავრცობი ხმოვანი (-ი, -უ, -გ) (EV); თანდებული (-ხ || -ხი „მდე“, -ნი „თვის“, -წკალა / -წკელა / -წკუმა „-თან“, -ჯგურა/ გურა „მსგავსი“...) (PP);

V. ნაწილაკი **-თ(ი)** „ც“ (PTC);

VI. ნაწილაკი **-ა¹** „ო“ (PTC:ISM);

VII. ნაწილაკი **-ო²** „ო“ (QPTC).

ერთი რანგის მორფემები შეუთავსებელია ერთმანეთთან სინტაგმატურად, რომელიმე რანგის მორფემის გამოტოვები-სას რანგობრივი თანმიმდევრობა არ ირღვევა.

(1) **ტორონჯ-ი-ქ-გ=თი=ა=ო**

მტრედი-OBL-ERG-EV=PTC=PTC:ISM=QPTC

R- I-III-IV=V=VI=VII

(2) **ჯიმა-ლ-ეფ-ი-წკუმა=თი=ა=ო**

ძმა-EP-PL-GEN-PP=PTC=PTC:ISM=QPTC

R-I-II-III-IV=V=VI=VII

თუკი მორფემათა საზღვარზე არაკანონიკური კომპლექსე-ბი იქმნება, ენა მიმართავს მათი დაძლევის რამდენიმე გზას.³

მაშასადამე, სახელთა რანგობრივი სტრუქტურის აგები-სას გათვალისწინებულია ორი ახალი მორფემული ელემენტის ჩართვა, ტრადიციულ თვალსაზრისთან ერთად ჩამოყალიბე-ბულია ახალი თვალსაზრისებიც, კერძოდ, ნაჩვენებია მეგრუ-ლისათვის დამახასიათებელი სახელის ფუძის თავისებურებანი.⁴

1. სხვათა სიტყვის ნაწილაკი, ქართული -ო'ს ბადალი.

2. ძველი ქართულის კითხვითი -ა ნაწილაკის ბადალი: ხარ-ა? არს-ა? კითხვის ან ჩაკითხვის ფუნქცია აქვს მეგრულმა.

3. აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა ვრცლად იხ. კარტოზია და სხვ., 2010, 115; არაკანონიკურ კომპლექსთა დაძლევის გლოსორებული ჩანაწერი მოცემულია ამავე მონოგრაფიაში გვ.: 39

4. დაწვრილებითი მსჯელობა იხ. კარტოზია და სხვ., 2010, 105-109; 114-120;

3.2. ზმნური მორფემების რანგობრივი სტრუქტურა.

მეგრულში ზმნური მორფემები განლაგებულია ფუძის მარჯვნივ, მარცხნივ ან ჩაერთვის ფუძეს. ამდენად, ისინი არა მხოლოდ პრეფიქსები და სუფიქსებია, არამედ ინფიქსები და კონფიქსებიც. კონფიქსის პრეფიქსული და სუფიქსური მორფემები ზმნის რანგობრივი სტრუქტურის აგებისას ცალ-ცალკე განიხილება, თუმცა გლოსირებული ჩანაწერისას აღინიშნება ერთი და იმავე გლოსითა და რიგითი ნომრით ისე, რომ კონფიქსურ მონაცემად წარმოჩნდეს.

ზმნური პრეფიქსული მორფემების რანგირების ზოგადი სქემა ასეთია: V-IV-III-II-I-**R**. მორფემათა მაქსიმალური სიგრძე ხუთით განისაზღვრება:

I — ფუძესთან ყველაზე ახლოს მდგომი მაქცევარი პრეფიქსები: **ა, ე, ი, ო, უ**, რომლებიც ფუნქციურად განსხვავებული ელემენტებია: ვერსიის ნიშნები (SV, OV, NV), ვნებითი გვარის (PASS), საზედაო სიტუაციის აღმნიშვნელი პრეფიქსები (SMR), კაუზატივისა (CAUS1) და პოტენციალისის (POT1) მანარმოებელი კონფიქსის პრეფიქსული ელემენტები;

II — პირველი და მეორე პირის აღმნიშვნელი მარკერები (S1¹; O1,O2);

III - მეოთხე სერიის მწკრივთა მანარმოებელი **ნო- -ე** კონფიქსის **ნო-** პრეფიქსული ელემენტი (RES1), რომელიც ყოველთვის პირის ნიშნის წინ დგას; აწმყოს ფუძეში მის ადგილს იკავებს აწმყოს ჯგუფის გამომხატველი **თმV- || მV-** ელემენტი (PTC: PRS).

IV — მარტივი და რთული ზმნისწინების რანგი.

მარტივი: **ა-, ე-, გა-, გე-, გო-, და-, დო-, მე- (|| მი-), მო-, შე-, ნა-**.

რთული: **ა-თო-, ა-კო-, ა-ლა-, ა-შა-, ა-წო-, გა-თო-, გა-კო-,**

1. ზოგადად, S2 ზმნური ფორმა პიროვან პარადიგმაში უნიშნოდ არის წარმოდგენილი. მას მხოლოდ გარევეულ მორფოლოგიურ პოზიციებში ენიჭება შესაბამისი გლოსა და ჩანაწერება მრგვალ ფრჩხილებში: (S2); დანვრილებით იხ. გვ. 45-46

გა-მა-, გა-წო-, მი-ნო-, მი-თო-, მი-ლა-, მი-შა-, მი-ნო-, მი-კო-, მი-და-, გი-ნო-, გი-თო-, გი-ლა-, გი-შა-, გი-ნო-, გი-კო- და ა. შ. მათი ფონეტიკური ვარიანტების ჩათვლით¹.

V — ნანილაკები (ვა-, ქო-, გა-²), რომლებიც პროკლიტიკებია (PPTC=, NPTC=).

მაშასადამე, პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობას ზმნის ძირამდე ასეთი სახე აქვს:

V	IV	III	II	I	R
a	b				
ბ-	ბა-				
თ-	თით-				
ლ-	ლა-				
ნ-	ნო-				
მი-	ნო-				
მი-	კო-				
ვა-	მი-	და-	-ვ-	-ა-	
	მი-	ლა-			
გა-	მი-	შა-	[თმV-]	-მ-	-ი-
	გი-	ნო-			
ქო-	გი-	კო-	-გ-	-ო-	
	გი-	ნო-			
გი-	თით-				
გი-	შა-				
დი-	ლა-				
დი-	შა-				
დი-	ნო-				
დი-	კო-				
დი-	ნო-				

1. რთული პრევერბები შედგება ორი კომპონენტისაგან, ქვემოთ მოცემულ სქემაში ნარმოდგენილია ა და ბ რიგები: ა რიგი - რთული პრევერბების შემადგენელი მარტივი ელემენტება, ბ რიგი - ლოკალურ მიმართებათა გამომხატველი ნაწილაკები, რომლებიც მარტივ პრევერბებთან ერთად ქმნიან რთულ პრევერბებს და ცალკე ან ერთმანეთთან ნუკლში არასოდეს გამოიყენებიან (გუდავა, გამყრელიძე 2000, 188, 190; კარტოზია და სხვ., 2010, 198).
2. ე. წ. „ზერთული“ ელემენტის სტრუქტურაში შემავალ გა-/გე- ნანილაკს ამ ეტაპზე არ გამოვყოფთ, თუმცა ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ის არ ქმნის ზერთულ გმნისწინს და მას აქვს მასპექტებელი ფუნქცია.

ერთი რანგის მორფემები სინტაქტურად შეუთავსებელია ერთმანეთთან, ანუ ერთი რანგიდან რამდენიმე ელემენტის აღება არ ხდება. მიმდევრობის მაქსიმალური სიგრძე შედგება ხუთი ელემენტისგან¹. ნებისმიერი რანგის მორფემის ამოღება პრეფიქსთა ჯაჭვიდან იწვევს სხვადასხვა რანგის მორფემათა უშუალო კონტაქტირებას. ერთადერთი შეზღუდვა ედება III რანგის [თ]მV- მორფემას, რომელიც შეკრულია IV რანგის მორფემასთან, ანუ ის ამოვარდება ავტომატურად, თუ მიმდევრობაში IV რანგის მორფემა არ გვაქვს; თუმცა III რანგის მორფემის ამოღება არ იწვევს IV რანგის მორფემის გაქრობას (გუდავა, გამყრელიძე 2000, 190; 1981); ამასთან, ზმნური პრეფიქსების სინტაქტურ ჯაჭვში რთული ფონოლოგიური პროცესები მიმდინარეობს, რის გამოც ხშირად ამოსავალი მორფემა რედუცირებულად ან შეცვლილი ხმოვნითი ელემენტით წარმოგვიდგება:

	V	IV	III	II	I	R	Suffix
ვამწმგადვინე	ვა-	მ+ნ-	მ-	გ-	ა-	დვ-	-ინ-ე
	*ვა-	მი+ნო-	მო-	გ-	ა-	დვ-	-ინ-ე
	NPTC	PRV	PTC:PRS	O2	NV		
გაიწოილე	გა-	ი+ნო	-	Ø-	ი-	ლ-	-უ
	*გა-	გი+ნო-	-	გ-	ი-	ლ-	-უ
	PTC	PRV	PTC:PRS	O2	OV		
ქიმლუდვანს	ქი-	მ+ლ-	-	-	უ-	დვ-	-ან-ს
	*ქო-	მი+ლა	-	-	უ-	დვ-	-ან-ს
	PPTC	PRV	-	-	OV		
ვეთმუსო-ფუნს	ვე-	ე-	თმ-	-	უ-	სოფ-	-უნ-ს
	*ვა-	ე-	თმე-	-	უ-	სოფ-	-უნ-ს
	PPTC	PRV	PTC:PRS	-	OV		

1.თუკი ვა- და ქო- ნანილაკები სიტყვის ანლაუტში ერთად არის წარმოდგენილი “ვა- ელემენტი უნდა განვიხილოთ როგორც დამოუკიდებელი სიტყვა, უარყოფის ნაწილაკი, რომელიც არ წარმოადგენს პრეფიქსულ მორფემას და არ შედის პრეფიქსთა ჯაჭვში” (გუდავა/გამყრელიძე 1981, 239).

მეგრულში ზმნური ძირიდან მარჯვნივ შეძლება განლა-
გდეს თორმეტი მორფემა ანუ სუფიქსი. რანგობრივი თეორიის
მიხედვით, ყველას ერთდროული რეალიზება დაუშვებელია;
ერთი რანგის მორფემები გამორიცხავენ ურთიერთს, რაც
იმას ნიშნავს, რომ „სტრუქტურაში ერთი რანგის ორი მორფი
დაუშვებელია, რადგან მიმდევრობაში ისინი აღმოჩნდებოდნენ
სხვადასხვა რანგში იმის გამო, რომ ორიდან ერთ-ერთი იქნე-
ბოდა მომდევნო. ბუნებრივია, სხვადასხვა რანგში აღმოჩნილ
მორფემებს ერთი რანგის კვალიფიკაცია არ ეძლევათ“ (და-
მენია 1982, 47). ერთდროულად რეალიზებული სუფიქსური
ელემენტი მაქსიმუმ შეიძლება იყოს ხუთი, თუ არ არის მოსა-
ლოდნელი მათი მოდალური ელემენტებით გართულება.

ზოგადი სქემა ასეთია:

R -I-II-III-IV-V-[VI-VII-VIII-IX-X-XI-XII]¹

მეგრულში, ქართულის მსგავსად, ზმნურ სუფიქსთა რან-
გობრივი სტრუქტურის ანალიზისას თავს იჩენს ორთემის-
ნიშნიან ზმნურ სტრუქტურათა საკითხი, მათი სეგმენტაცია,
კვალიფიკაცია და რანგის განსაზღვრა².

მაგალითისთვის: ო-ტყობ-ინ-უან-ს („მალავს“) სტრუქ-
ტურისთვის ორჯერ უნდა ჩაიწეროს თემის ნიშანი, თუ ეტი-
მოლოგიურ ვითარებას გავითვალისწინებთ: *NV-მალვა-
THM-THM-PRS.S3.SG, რაც რანგობრივი თეორიის მიხედვით
დაუშვებელია.

1. VI-XII რანგის აფექტები მოდალური ელემენტები (VII-VIII-IX; XI-XII) და ამ ელემენტებს შორის ფონოლოგური შეუთავსებლობის დასაძლევად გაჩენილი ფონეტიკური ჩანართებია (VI - OBL, X - EP).
2. მ. დამენა ქართულისათვის ანალიზებს მიმდევრობაში ერთი რანგის მორ-
ფებებს ირჯერ გამოყენების შემთხვევებს: შე-ვ-წუხებულ-ვარ ფორმაში
პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ორჯერ გამოყენება ასსნილია ერთ-ერთის,
ეკრძოდ, მეშევლი ზმნისეული მორფემის, ფუნქციის შესუსტებით. შდრ., ძვ.
ქართ. შეწუხებულ-ვარ (დამენა 1982, 47); ჩვენი აზრით და ზემომოყვანილ
მსჯელობაზე დაგრძნობით, წინააღმდეგობრევია ერთი რანგის მორფემის
ორჯერ გამოყენება; თუკი ერთის ფუნქცია შესუსტდება ან, შეიძლება დავა-
ზუსტოთ, ანულირდება, მაშინ ჩნდება მეორე.

ლინგვისტურ ლიტერატურაში ქართული მასალის ანალ-იზის საფუძველზე მოცემულია საკითხის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა:

1. **ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს** ფორმაში წარმოდგენილი ორი -ებ სუ-ფიქსი განსხვავებული ფუნქციისად ითვლება. პირველი -ებ ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია ანუ ოდენ დერივაციული მორფემაა და ქმნის ახალ ლექსიკურ ერთეულს, ამიტომაც ის ფუქტები შემავალია (ამ შემთხვევაში ფუქტები არ უდრის **ძირს**) (დამენია 1982, 48). ამდენად, გლოსირებულ ჩანაწერს ასეთი სახე ექნება:

ა-კეთ+ებ-ინ-ებ-ს

NV-კეთებ-CAUS-THM-PRS.S3.SG

2. სხვა თვალსაზრისებით, აქ წარმოდგენილია ფუნქციურად განსხვავებული ორი მორფემა:
 - ა) პირველი -ებ ჩათვლილია **თემატურ ნიშნად** (Thematic marker), ხოლო მეორეს ენიჭება **სერიის მარკერის** (Series marker) კვალიფიკაცია (Harris 2009, 402):

ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს

NV-კეთ-THM-CAUS-SM -PRS.S3.SG

- ბ) ორივე თემის ნიშანია. პირველი **თემატურ სუფიქსად** (Thematic suffix (TS)) ინდება, ხოლო მეორე - **კაუზატიურ თემატურ სუფიქსად** (Causative thematic suffix), რადგან ის მხოლოდ კაუზატივებთან გვხვდება (Boeder 2005, 22).

სამივე თვალსაზრისი, მათი ახსნის პრინციპიდან გამომდინარე, მისაღები ჩანს. მთავარია, რანგობრივ სტრუქტურაში ერთი და იმავე კვალიფიკაციის ორი ელემენტი სხვადასხვა რანგში არ გამოიყოს.

მართალია, მ. დამენია საგანგებოდ არ მსჯელობს განმეორებით -ებ თემის ნიშნის დართვის მიზეზზე, თუმცა ფორმობრივი ანალიზიდან ჩანს, რომ ორთემისნიშნიანი მიმდევრობები კაუზატივებია და ასეთ ფორმებში უალტერნატივოა -THM-CAUS-THM- მიმდევრობა. კაუზატივის საწარმოებლად ზმნა იღებს თემისნიშნიან ფორმას. პირველი თემის ნიშნის ფუნ-

ქციაა ფორმის ლექსიკალიზება, განსხვავებით მეორე თემის ნიშნისგან, რომლის ფუნქციაა ფორმის გრამატიზება (resp. მორფოლოგიზაცია).

ა. ჰარისი, იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ ზმნურ სუფიქსურ მორფემათა მიმდევრობაში ძირიდან მარჯვნივ უახლოესი თემის მარკერი უნდა იყოს, გამოყოფილ პირველ სეგმენტს თემის ნიშნის კვალიფიკაციას ანიჭებს, ხოლო მეორე, გამოხატულების პლანში დამთხვეული მორფემა, სხვა კატეგორიის მარკერად მიაჩნია და მის ფუნქციად სერიის გამოხატვას განსაზღვრავს; ამის საფუძველს კი აძლევს ის, რომ იგი ზმნურ ფორმას მთელ სერიაში გაჰყვება (Harris 2009, 402).

მეგრული ტექსტების მორფოლოგიური სეგმენტაციისა და გლოსირების დროს ჩვენ არჩევანი პირველ თვალსაზრისზე შევაჩერეთ, რომლის საფუძველზეც ზმნის ძირთან ყველაზე ახლოს მდგომი თემატური ნიშანი წარმოქმნილი ფუძის ელემენტად იქნა გააზრებული. საანალიზო ენაში ქართულიდან ნასესხები -ები, მისი მეგრული შესატყვისი -აფ, ან -უ (<*-ოვ), -ინ სუფიქსები დაგრძელებულ, წარმოქმნილ ფუძეში შემავალად უნდა მივიჩნიოთ. ასევე ფუძეში შემავალად განვიხილავთ მეოთხე სერიის ფორმებში მიმღეობის ოდინდელ მანარმოებელ -უს: **ნო-თას+აფ+უ-ე** „თესავს თურმე“.

ამდენად, მეგრულის ზმნური სუფიქსები რანგების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდება:

I. ვნებითი გვარის სუფიქსი (PASS): **-დ**:

კაუზატივის მანარმოებელი **ო- აფ / ა- აფ** კონფიქსის სუფიქსური ელემენტი **-აფ** (CAUS1);

II. თემატური ნიშანი ან მისი ნაშთი (THM): **-უნ, -უ, უ+ან, -ან, -ენ;**

მეოთხე სერიის მანარმოებელი **ნო- ე** კონფიქსის **-ე < || ელე**¹ სუფიქსური ელემენტი (RES1);

პოტენციალისის **ა- ე** კონფიქსის სუფიქსური ელემენტი **-ე** (POT1).

1. ზოგადად, ე < ელე გვხვდება III სერიაში ცალკეული გარდაუვალი ზმნის ფორმებში: მორფელე > მორდე-ე > მორდ-ე “გაზრდილა”. ვრცელი მსჯელობისათვის იხ. კარტოზია და სხვ. 2010, 245-246.

- III. მავრცობი **-დ** — უწყვეტლის ნიშანი ანუ განგრძობითობის მაწარმოებელი (IMP);
- IV. მწკრივის (|| პარადიგმის) ნიშნები (PM): **-ა, -ე, -ი;**
- V. მესამე სუბიექტური პირის ნიშნები (S3): **-ნ/-Ø, -ს/-ც, -უ/-გ/-Ø ;**
პირველი და მეოთხე სერიის ფუქსებთან მხ. რ. I-სა და II პირში სუბიექტობის აღმნიშვნელი **-ქ** სუფიქსი (S1/S2.SG);
S3 პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი მორფემები (PL): **-ან > -ა, -ნა(ნ), -ნ, -ეს / -ის;**
- VI. ემფატიკური ხმოვნები (EV): **-ი, -უ, -გ;**
- VII. პირობითების მარკერი, ზმნური წარმოშობის ნაწილაკი (COND): **-კო(ნ) || -ოკო(ნ).**
- VIII. ობლიგატი - სავალდებულო ხმოვანი (OBL): **-ი.**
- IX. ენკლიტიკური ნაწილაკები (სხვათა სიტყვის ნაწილაკები
-ა¹ „-ო“, -შო „-თქო“ (=PTC:ISM); კითხვის / ჩაკითხვის -ო (=QPTC)).
- X. ნაწილაკი **-მაქი „-მეთქი“ (=PTC:ISM)²;**
-ვ ხმოვანთგამყარი, რომელიც სხვათა სიტყვის **-ა ნაწილაკის წინა პოზიციაში ჰქიანუსის თავიდან აცილების მიზნით ჩნდება და ეპენთეზაა (EP);**
- XI. ნაწილაკი **-ა (=PTC:ISM)³.**
- XII. კავშირ-ენკლიტიკები (**-ნი „რომ“ (=CONJ (that)), -და „თუ“ (=CONJ (if)).**

-
1. **-ა ნაწილაკს რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტი მოეპოვება. მსჯელობა იხ. 82-84 გვერდზე.**
 2. **ნაწილაკები ერთმანეთისაგან განსხვავებულია ფუნქციურად, პირთან მიმართების თვალსაზრისით. თუმცა გლოსაში პირისადმი მიმართების ასახვა საჭიროდ არ მივიჩნიეთ და მისთვის მხოლოდ ზოგადი ჩანაწერი გამოვიყენეთ.**
 3. **IX და XI რანგის ა- ნაწილაკები, რომლებიც **ვ-** ეპენთეზათია გამიჯნული, ფუნქციურად განსხვავებული ოდენობები უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი მორფებთა სინტაქტურ ჯაჭვში მიმდევრობით კი არ განლაგდებია, არამედ ერთმანეთის მონაცემელი ალომორფი იქნებოდა. შესაბამისად, მორფებმათა არც სხვადასხვა რანგში გაერთიანდებოდა. ზოგადად, ტრაქურია მიმდევრობა **-ა-ვ-ა.** მოუხედავად საკითხისადმი მიღლვილი სპეციალური ნაშრომებისა, ფუნქციებს დამატებითი კვლევა სჭირდება.**

სტრუქტურაში ყველა მორფემის ერთდროულად რეალიზება შეუძლებელია. რომელიმე რანგის მორფემის არარსებობისას ერთი ან რამდენიმე რანგით მომდევნო მორფემის დასმა წინა რანგის მორფემის წინ არ ხდება. VIII-IX-X-XI-XII რანგის ელემენტები შეიძლება დაერთოს ყველა ფუძეს, მხოლოდ მიმდევრობაში რანგობრივი სტრუქტურის დაცვით. VIII და X რანგის სუფიქსთა დართვა¹ (არსებობა ზმნურ სტრუქტურაში) დამოკიდებულია მომდევნო IX და XI რანგის სუფიქსთა დართვაზე.

მაგალითები:

(1) დო-გ-ი-ჩინ-ან-თ-ი=ა=მაქ „დაგიბარებთო“

PRV-O2-OV-დაბარება.FUT-THM-PL-OBL=PTC:ISM=PTC:ISM
-R-II-V-[VIII=IX=X]

(2) ვ-ო-ჭარ-აფ-უ+ან-ქ-ი=ა „ვაწერინებო“

S1-CAUS1-წერა.PRS-CAUS1-THM-S1/S2.SG-OBL=PTC:ISM
-R-I-II-V-[VIII=IX]

(3) ნო-წკირ+უ²-ე-ნ-ი=ა=მაქ

RES1-გაპობა(+*PRT)-RES1-S3.SG-OBL=PTC:ISM= PTC:ISM
-R-II-V-[VIII=IX=X]

(4) დო-ი-ნგარ-უ-დ-ეს-კონ-ი=ა-ვ=ა (<*დო-გ-ი-ნგარ-უნ-დ-ეს-კონ-ი=ა-ვ=ა)

PRV-(O2)-OV-ტირილი.PST-THM-IMP-S3.PL-COND-OBL=PTC:ISM-EP=PTC:ISM
-R-II-III-V-[VII-VIII=IX-X=XI]

1. გარდა -მაქ „მეთქი“ ნაწილაკისა. დამატებით ამ საკითხზე მსჯელობა იხ. გვ. 80.

2. შეოთხე სერიაშ სანარმოებლად აიღო ნო-უ კონფიქსანი მიმღეობა. სინქრონიულ დონეზე მწკრივის მანარმოებელია ნო-ე კონფიქსი, -უ სუფიქსი კი დესემანტიზირებულია, ამიტომ პლუსით ვუერთებთ და ცალკე გლოსას არ ვანიჭებთ.

- (5) გო-სქირ+აფ-ელ+ე-ნან-ი=ა (> გო-სქირ-აფ-ეე-ნან-ი=ა > გო-სქირ-აფ-ე-ნან-ი=ა)
 PRV-შრობა.PRF-S3.PL-OBL=PTC:ISM
 -R-II-V-[VIII=IX]
- (6) ო-თას-აფ-უ+ან-დ-უ-კო
 CAUS1-თესვა.PST- CAUS1-THM-IMP-S3.SG-COND
 -R-I-II-III-V-[VII]
- (7) ო-ტახ-აფ-უ+ან-დ-ეს-ი=ა-ვ=ა
 CAUS1-ტეხვა.PST-CAUS1-THM-IMP-S3.PL-OBL=PTC:ISM-EP= PTC:ISM
 -R-I-II-III-V=[VIII=IX-X=XI]
- (8) გო-სქირ+აფ-ე-დ-უ-კო
 PRV-შრობა.PRF-IMP-S3.SG-COND
 -R-II-III-V-[VII]
- (9) ო-ნახ+უ-უ-ნ-ი=ა-ვ=ა
 PASS-რეცხვა-THM-S3.SG-OBL =PTC:ISM-EP= PTC:ISM
 -R-I-V-[VIII=IX-X=XI]
- (10) ვ-ო-დარაჯ+ებ-აფ-უ+ან-ქ-ი=ა-ვ=ა
 S1-CAUS1-დარაჯობა.FUT-CAUS1-THM-S1/S2.SG-OBL=PTC:ISM-EP= PTC:ISM
 -R-I-II-V-[VIII=IX-X=XI]
- მაშასადამე, მეგრულში ზმნურ რანგობრივ სტრუქტურაში
 ძირითადია ხუთი სუფიქსური ელემენტი, ხოლო დანარჩენი -
 მოდალური ელემენტები, ნაწილაკები და მათ შორის ჩართული
 ფონეტიკური ელემენტებია - ობლიგატი და ეპენთეზები.

3.3. ხმოვანთა ფუნქციური და ფორმალური გემინაცია

მეგრულისათვის პირველად შ. ბერიძემ გამოყო „გრძელი
 ხმოვნები“ და ისინი სათანადოდ გაფორმებული გრაფემებით

პ, ჟ, ჲ, ი ჩანერა თავის ტექსტებში (ბერიძე 1920, 19). სიგრძის ნიშანი გამოიყენა მ. ხუბუამაც „მეგრული ტექსტების“ (ტფ. 1937) გამოცემისას. აღსანიშნავია, რომ მეგრულში ხმოვანთა სიგრძე ფონოლოგიურად არარელევანტურია, ის „უდრის ორ ხმოვანს და ცალკე ფონემას არ წარმოადგენს“ (გუდავა 1975, 361), განსხვავებით სვანურისაგან. ამიტომაც უფრო მართებულად მიიჩნევა მათვის ორმაგი ანუ გემინირებული ხმოვნების კვალიფიკაცია: ა. ცაგარლის, ი. ყიფშიძის, ტ. გუდავასა და კ. დანელია / ა. ცანავას ტექსტებში ორმაგი ხმოვნები მიმდევრობების სახითაა ჩანერილი: **აა, ეე, იი, უუ**

ორმაგ ხმოვანთა წარმოქმნას საფუძვლად უდევს:

- გრაფემულად ერთნაირად გამოხატულ ფუნქციურ ელემენტთა თავმოყრა, რაც ხშირად შედეგია ამოსავალ მორფემათა ფონოლოგიური ტრანსფორმაციისა. ასეთ შემთხვევას ჩვენ ვუწოდებთ **ფუნქციურ გემინაციას**, რომელიც მორფონოლოგიურადაა შეპირობებული;
- ყველა სხვა შემთხვევა, როცა გემინაციისათვის მორფონოლოგიური საფუძველი არ არსებობს, უბრალოდ **ფორმალურია.**

საგულისხმოა, რომ ფუნქციური გემინაციის შემთხვევაშიც კი ზუგდიდურ-სამურზაყანული გემინირებულ ხმოვანთა გამარტივებისკენ ისწრაფვის, მაშინ, როცა სენაკურ-მარტივილურში ფუნქციური გემინაცია მკაცრად შენარჩუნებულია და მეტიც, ფორმალური გემინაციისკენ ტენდენცია იკვეთება იქ, სადაც ეს მორფოლოგიურად მოსალოდნელი არ არის. აღნიშნული მოვლენა, უდავოდ, ფუნქციური გემინაციის ანალოგის შედეგია.

გემინირებული ხმოვნები ფიქსირდება ძირიდან მარჯვნივ სახელსა და ზმნაში, მარცხნივ - ზმნაში. სახელებში გემინაციას ფუნქციური საფუძველი არა აქვს, ის არ არის მორფოლოგიურად შეპირობებული, ამიტომაც ფორმალურია.

(1) ეე:

- ა+ი: მეესი < *მაისი, ნეერი < *ნაირი (Кипшиძэ 1914, 08);
 ავ+ი: ამბეე < *ამბაი < *ამბავი, ნათესეე < *ნათესაი <
 *ნათესავი, ხვეე < *ხვაი < *ხვავი, ჭვეე < *ჭვაი < *ჭვა-
 ვი (Кипшиძэ 1914, 010-011);
 ავ+ე: გათეება < *გათაება < *გათავება (Кипшиძэ 1914, 08);

(2) იი:

- ივ+ი: რქვი+ი < *ქვრივი, დი+ი < დეი < *დევი, პატი+ი < *პა-
 ტივი (Кипшиძэ 1914, 08)

ოვ+ე>უე || იი: შიიბა < *შუება < *შოვება

(3) უუ:

- ო+უ: ჩხუუ < *ჩხოუ (Кипшиძэ 1914, 011)

(4) აა:

- ი+ა: ქაანა < ქიანა < *ქიცანა

ზმნებში გემინირებული ხმოვნები სხვადასხვა გზით მი-
 იღება:

(1) აა:

- ა+ა: ვა=ა-ჭკომ-ე

NPTC=POT1-ჭამა-POT1-(PRS.S3.SG)

- ა+ო: ვა=ა-კო-ნ-ო < *ვა=ო-კო-ნ=ო

NPTC=NV-კეთება-S3.SG=QPTC

- ო+ა: ქა=ა-კეთ-ენ-ს < *ქო=ა-კეთ-ენ-ს

PPTC=NV-ნდომა-THM-S3.SG

- ო+ო: ქო=ო-კო-ნ=ო < *ქო=ა-კო-ნ=ო

PPTC=NV-ნდომა-S3.SG-QPTC

(2) ეე:

- ა+ი: გე-ე-გ+უ-უ < *გე-ი-გ-უ-უ < *გა-ი-გ-უ-უ
 PRV-PASS-გაგება-AOR.S3.SG

გე-ე-თ+უ-უ < *გა-ი-თავ-უ-უ
PRV-PASS-გათავება-AOR.S3.SG

ვე=ე-ც-უ < *ვა=ი-ც-უ
NPTC=PASS-ყოფნა-AOR.S3.SG

ვე=ე-ნგარ-ა < *ვე=ი-ნგარ-ა < *ვა=ი-ნგარ-ა
NPTC=PASS-ტირილი-S3.PL

ვე=ე-ც-ი+ი-ნ-ი=ა < *ვა-ი-ც-ი+ი-ნ-ი=ა¹
NPTC=PASS-ყოფნა.FUT-PM-S3.SG-OBL=PTC:ISM
ვე=ე-ც-ი+ი < *ვა-ი-ც-ი+ი
NPTC=PASS-ყოფნა.FUT-PM-(S3.SG)

ო+ი: ქე=ე-ჩ+უ-უ < *ქო=ე-ჩოვ-უ
NPTC=PASS-საუბარი-S3.SG

ა+ე: დე-ე-კვირ-უ < *და-ე-კვირ-უ
PRV-PASS-დაკვირვება-AOR.S3.SG

ოვ+ე > უ+ე > ეე:
უ-წ+ე-ეს < უ-წ+უ-ეს > *უ-წოვ-ეს
OV-თქმა-AOR.S3.PL
გო-უ-ტ+ე-ეს < გო-უ-ტ+უ-ეს < *გო-უ-ტოვ-ეს
PRV-OV-გაშვება-AOR.S3.PL

(3) **იი:**

ოვ+ი: ქო=თხ+ი-ი < *ქო=თხ-ო-ი < *ქო=თხ-ოვ-ი
NPTC=(S2)-თხოვნა.AOR-PM

ოვ+ე > უე || იი:
თხ+ი-ის < თხ+უ-ეს < *თხ-ოვ-ეს
თხოვნა-AOR.S3.PL

ე+ი: ქო=მ-ი-ნ+ი-ი-თ < *ქო=მ-ი-ნ+ე-ი-თ

1. აღნიშნულ ზმნურ ფორმაში ეტიმოლოგიურად აღდგება პასივის პრეფიქსული მორფება -ი, უარყოფითი ნაწილაკის დართვის შემდეგ ხდება ასიმილაცია: **აი** > **ეი** > **ეე**. სინქრონიულ დონეზე **ვეებინია** „არ იქნება“ ფორმათა სეგ-მნიშვნელისას **ე-** გამოიყოფა, როგორც პასივის ნიშანი.

PPTC=INVS1-OV-თქმა-PM-INVO1.PL

ქო=თხ+ი-ი-თ < *ქო=თხ+ე-ი-თ

PPTC=(S2)-თხოვნა-PM(AOR:IMPV)-PL

ო+ი: დი-ი-ხაშ-უ < *დო-ი-ხაშ-უ¹

PRV-PASS-ხარშვა-AOR.S3.SG

ქი=ი-შინ-ქ < *ქო=ი-შინ-ქ

PPTC=SV-ხსენება-S2/S1.SG

დი-ი-შუმ-უ < *დო-ი-შუმ-უ

PRV-SV-სმა-AOR.S3.SG

(4) უ:

ო+უ: დუ-უ-თას-უ-ნ=ო < *დო-უ-თას-უნ-ნ=ო

PRV-(INVS3)-OV-თესვა.PRF-THM-INVO3.PL=QPTC

მუ-უ-რ-დ-უ < *მო-უ-რ-დ-უ

PRV-OV-სვლა.PRF-IMP-THM-(S3.SG)

ი-ც+უ-უ < *ი-ცოვ-უ

PASS-ყოფნა-AOR.S3.SG

ოვ+უ: თხ+უ-უ < *თხ-ოვ-უ²

თხოვნა-AOR.S3.SG

ი-შ+უ-უ < *ი-შოვ-უ

SV-შოვნა- AOR.S3.SG

უ-ნ+უ-უ < *უ-ნოვ-უ

OV-შოვნა- AOR.S3.SG

ავ+უ: გე-ე-თ+უ-უ < *გა-ი-თავ-უ

PRV-PASS-გათავება-AOR.S3.SG

1. ამ ბლოკის ვარსკვლავით აღნიშნული ფორმები სინტრონიულ დონეზე არ-სისული ზმნური ფორმებია, რომელიც ტრანსფორმირებულ ფორმიაგან აქტივურად რაოდენობით განსხვავდება: დიოხაშუ „მოიხარშა“ - დიოხაშუ „მოიხარშავ“, ქიოშინქ „მოვი“ — ქიოშინქ „გიმოვი“, დიიშუმუ „დათვრა“ — დიიშუმუ „დაგროტრო“. მაშასადამე, ამგარ ფორმები განსხვავებულია სემანტიკურადაც.

2. ამ ტიპის ზმნები მორფოლოგიურ გარდაქმნებზე დაწვრილებით იხილეთ ამავე მონოგრაფიაში გვ.60.

ყველა ზემოჩამოთვლილ მაგალითში გემინაცია მორფემა-
თა საზღვარზე ხდება, გემინირებულ ხმოვანთაგან თითოეული
მორფოლოგიური ლირებულების მქონეა, ამიტომაც ის ფუნ-
ქციურია, თუმცა ტექსტებში მრავლადაა იმავე მორფემათა
საზღვარზე ფორმალური გემინაციის მაგალითებიც. ფორმალ-
ურად გემინირებული ხმოვნები სეგმენტირებულ სინქრონიულ
ხაზში პლუსით (+) ერთდება.

ფორმალურად ორმაგდება:

- ზმინისწინის ბოლოკიდური ხმოვანი:

აა:

- (1) გიშა+ა-რთ-გ
PRV-გასვლა-AOR.S3.SG

ავ:

- (1) გიშე+ე-ლ-გ
PRV-გასვლა-AOR.S3.SG
(2) მიდე+ე-ჯუმ-უ
PRV-წაყვანა-AOR.S3.SG
(3) იშე+ე-ლ-ენ-ქ
PRV1-ასვლა.FUT-THM-S2/S1.SG
(4) გე+ე-ჭოფ-გ
PRV-აღება-AOR.S3.SG-EV
(5) იშე+ე-ლ-ან-ქ
PRV-ამოღება.FUT-THM-S2/S1.SG
(6) ქე=გე+ე-გონ-გ
PPTC=PRV-გაგონება-AOR.S3.SG

იი:

- (1) გიმი+ი-ჯინ-გ
PRV-გამოხედვა-AOR.S3.SG
(2) დი+ი-ცანცალ-უ
PRV-შეზანზარება-AOR.S3.SG
(3) დი+ი-რთ-გ

- PRV-დაბრუნება-AOR.S3.SG
- (4) მინი+ი-ლ-გ
PRV-შესვლა-AOR.S3.SG
- (5) გიმი+ი-ლ-გ
PRV-გამოსვლა-AOR.S3.SG
- (6) დი+ი-კათ-გ
PRV-შეკრება-AOR.S3.SG
- სხვადასხვა ფუნქციური ელემენტი:
 - (1) დო-ბ-ლურ-ე=ევე¹
PRV-S1-კვდომა-SBJ-EP=PTC:ISM
 - (2) მიდა-ვ-რთ-ე=ევე
PRV-S1-წასვლა-SBJ-EP=PTC:ISM
 - (3) გა-ხოლ-უ+უ-ქ-ი=ა
PRV-ხლება.FUT-THM-S1/S2.SG-OBL=PTC:ISM

3.4. სახელის გლოსირების პრინციპები

მეგრულში გამოიყოფა 9 ბრუნვა. აქედან ექვსი საერთოა ქართულთან, სამი განსხვავებულია.

სახელობითში თანხმოვანფუძიანებთან გვაქვს — ი, ხმოვანფუძიანებთან — ნულოვანი ალომორფი: Ø, თუმცა ნუ-ლოვანი ალომორფი ტექსტებში სპეციალური სიმბოლოთი არ აღიშნება, მაგრამ სათანადო გლოსა ენიჭება და ჩასმულია მრგვალ ფრჩხილებში. მოთხოვთ ერთნაირი ნიშანი აქვთ თანხმოვანფუძიანებსა და ხმოვანფუძიანებს — ქ სუფიქსი.

1. (1) და (2) ტიპის ზმნური ფორმები ყოველთვის ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას ქმნიან. რაც შეეხება -ევე მიმდევრობას, ს ერთაანად მოიაზრება სხვათა სიტყვის ნაწილაკად. დაუშლელობის მიზეზებზე მსჯელობა იხ. ამავე მონოგრაფიაში 82-84 გვერდებზე.

კოჩ-ი	კატუ-Ø	კოჩ-ქ	კატუ-ქ
კაცი- NOM	კატა-(NOM)	კაცი- ERG	კატა-ERG

მიცემითი ბრუნვის ძირითადი ნიშანი არის **-ს** სუფიქსი, რომელიც არ ასხვავებს თანხმოვანფუძიან და ხმოვანფუძიან სახელებს. **-ს'**ს ალომორფად განიხილება **-ც** სუფიქსი. იგი დამახასიათებელია თანხმოვანფუძიანი, ხშირად ფუძეგამარტივებული, სახელებისათვის დასავლური არეალში, იშვიათად დასტურდება ცენტრალურშიც. **-ც** სუფიქსიანი სახელების მიღების ორი გზა განიხილება: ერთი, ფუძის არაკანონიკური დაბოლოებისა და **-ს** სუფიქსის ტრანსფორმაციის შედეგად და მეორე, ანალოგით. ჩვენ მიერ სეგმენტირებულ ტექსტებში **-ც** სუფიქსი ამ ეტაპზე გამოყოფა, როგორც დამოუკიდებელი ბრუნვის ნიშანი.

კო-ს	კო-ც	წერილ-ც	კატუ-ს
კაცი-DAT	კაცი-DAT	წერილი-DAT	კატა-DAT

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი თანხმოვანფუძიანებისთვის **-იშ** || **-იში**, ხმოვანფუძიანებისთვის – **-შ** || **-ში**. მიმართულებითში: თანხმოვანფუძიანებისთვის — **-იშა**, ხმოვანფუძიანებისთვის – **-შა**. დაშორებითში: თანხმოვანფუძიანებისთვის – **-იშე**, ხმოვანფუძიანებისთვის – **-შე**.

კოჩ-იშ/იში კატუ-შ/-ში კოჩ-იშა კატუ-შა კოჩ-იშე კატუ-შე
კაცი- GEN კატა- GEN კაცი- ALL კატა- ALL კაცი- ABL კატა- ABL

მიმართულებით და დაშორებით ბრუნვებში ორსაფეხურიანი ფონოლოგიური ცვლილებების შედეგად მიიღება ტრანსფორმირებული ფორმები, კერძოდ, იკარგება ბრუნვის ნიშანთა (-იშა / -იშე) ხმოვნითი ნაწილი (-ი-), ან ფუძისეული ხმოვანი (ცალკეულ ხმოვანფუძიან სახელებთან), რის შედეგადაც მივიღებთ **დშ** თანხმოვანთმიმდევრობას (ფუძისეული „დ“, ბრუნ-

ვისნიშნისეული „შ“), რომელთა შერწყმა იძლევა ჩ-ს, ამგვარად ტრანსფორმირებული ფორმების სეგმენტაცია, ცხადია, ვერ ხერხდება და დაუშლელ ფორმას ენიჭება შესაბამისი გლოსა:

- (1) სიმინდ-იშ-ა > *სიმინდ-შა¹ > სიმინჩა
სიმინდი-ALL > *სიმინდი-ALL > სიმინდი.ALL
სიმინდ-იშ-ე > *სიმინდ-შე > სიმინჩე
სიმინდი-ABL > *სიმინდი-ABL > სიმინდი.ABL
- (2) ცუდე-შა > *ცუდ-შა > ცუჩა
სახლი-ALL > *სახლი-ALL > სახლი.ALL
ცუდე-შე > *ცუდ-შე > ცუჩე
სახლი-ABL > *სახლი-ABL > სახლი.ABL

დანიშნულებითში: თანხმოვანფუძიანებისთვის – -იშოთ, ხმოვანფუძიანებისთვის – -შოთ. „თ“ აპსოლუტურ ბოლოში შეიძლება დაიკარგოს. მოქმედებითში: თანხმოვანფუძიანებისთვის – -ით || -ითი, ხმოვანფუძიანებისთვის – -თ || -თი. ვითარებითში (გარდაქცევითში): თანხმოვანფუძიანებისთვის – -ო, ხმოვანფუძიანებისთვის – -თ.

კოჩ-იშოთ/იშო კატუ-შოთ/შო კოჩ-ით/ითი კატუ-შ/ში კოჩ-ო კატუ-ო
კაცი-ABL კატა-ABL კაცი-INS კატა-INS კაცი-ADV კატა-ADV

მეგრულს არა აქვს წოდებითი ბრუნვა. მიმართვის ფორმებს გადმოსცემს სახელობითით. სახელობითის ფორმა, წოდებითის ფუნქციით, განისაზღვრება კონტექსტით; გლოსირებული ჩანაწერი ასეთია:

კოჩ-ი, სო მე-უ-რ-ქ?

კაცი- NOM:VOC სად.ADVPL PRV-OV-სვლა-PRS.S2/S1.SG

მეგრულში სახელის ფუძე ხმოვანს ქართულისებურად არ კარგავს – არ იკუმშება და არ იკვეცება. აქ სხვა ტიპის

1. ვარსკვლავიანი ფორმები არ არის რეალიზებული.

თავისებურება გვხვდება როგორც თანხმოვანფუძიან, ასევე ხმოვანფუძიან სახელებთან.

თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებისას

- მიცემით ბრუნვაში მარტივდება ფუძე: კო-ს, დუ-ს, თუმცა ბრუნვის ნიშნის გამოხატვის მექანიზმი არ იცვლება.
- ბრუნების პარადიგმაში ზოგჯერ ჩნდება **ი** ხმოვანი და სახელები პირობითად ორ ჯგუფად იყოფა: ერთი ყოველთვის ჩაირთავენ **ი** ხმოვანს ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის, მეორენი ხან დაირთავენ ფუძეზე **ი** ხმოვანს, ხან – არა. როგორც კვლევები ადასტურებს, **ი-ს** გაჩენის შემაპირობებელი ფაქტორია ფონეტიკური გარემო; იგი არაკანონიკურ თანხმოვანკომპლექსთა გამყარია და ჩნდება ორ ბრუნვაში: მოთხოვთ ადა მიცემითში (გ. კარტოზია და სხვ., 2010, 114-115). თანხმოვანთგამყარის აღმნიშვნელი გლოსაა OBL (Obligatory – სავალდებულო).

კოჩ-ი-ქ

კოჩ-ი-ს

კაცი-OBL- ERG

კაცი-OBL- DAT

ხმოვანფუძიან სახელთა

- ცალკეულ ფუძეებთან მრავლობითი რიცხვის წარმოება იმით იქცევს ყურადღებას, რომ ინტერვოკალურ პოზიციაში ჩნდება **-ლ-** სონანტი. თანამედროვე მეგრულ მეტყველებაში ამგვარი 28 ფუძე დასტურდება¹ (კარტოზია და სხვ. 2010, 106), გამოიყოფა შემდეგი მიმდევრობები: აე, ეე, უე, რომლებიც იხლიჩება „ლ“ თანხმოვნით ჰიატუსი დასაძლევად, ამიტომ იგი გლოსირების დროს სახელდებულია ეპენთეზად (EP)²:

1. აბსოლუტური უმრავლესობა არსებითი სახელებია, რამდენიმე ფუძე ზმინზედითა (ძგა „კდურა“, ძეა „შუა“) და ე-ფუძიანი ატრიბუტითაა წარმოდგენილი (ჭიჭე „პატარა“, „ცოტა“).

2. აღნიშნული აბრევიატურის მნიშვნელობაზე მსჯელობა იხილე გვ. 17

და-ლ-ეფ-ი
და-EP-PL- NOM

ხე-ლ-ეფ-ი
ხელი-EP-PL- NOM

თუ-ლ-ეფ-ი
გოჭი-EP-PL- NOM

3.5. ვითარების ზმნიზედის გლოსირება

მეგრულში თავისებურებას ავლენენ ზმნიზედები, კერძოდ, იბრუნვიან. აქ, ცხადია, არ იგულისხმება ისეთი ზმნიზედები, რომელთა შემადგენლობაში ესა თუ ის ბრუნვის ნიშანი გაქვავებული სახითა შემორჩენილი. მაგალითად, სოქი-შა > სოი-შა „სანამდე“ – თექი-შა > თეიშა „იქამდე“.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ მეგრულში ვითარების ზმნიზედების ერთი ჯგუფი იბრუნვის; კერძოდ, ესენია: **ძალამი** „ძალიან“, **ნაბეტანი** „ნამეტანი“ და სხვა.

„ძალიან“ წარმოქმნილი სიტყვაა, ის ქართულში ფუძის სახით გვევლინება. ქართველურ ენათაგან მეგრული ამ შემთხვევაში ავლენს თავისებურებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ გვხვდება ფუძის სახითაც (ძალამ), სახელობით ბრუნვაშიც (ძალამი), მოთხოვნითშიც (ძალამქ) და მიცემითში (ძალამს)“ (კიზირია 1982, 274-275). უფრო ადრე ი. ყიფშიძემ აღნიშნა, რომ მეგრულში მოთხოვნითში დაისმის ნასახელარი ზმნისართებიც: ძალამქ „ძალიანმა“, ჭექ „ცოტამ“. ო. ურიდიას დაკვირვებით, მოთხოვნითში დაისმის ზმნიზედა, რომელიც გრამატიკული სუბიექტის ადგილს იქნს და ახლავს II სერიის ზმნას. ამასთან, რეალური სუბიექტი მიცემითშია, ისე, როგორც ჩვეულებრივ გვაქვს ინვერსიულ ზმნებთან (ურიდია 1960, 172). გ. კაჭარავას აზრით, ერგატივის ნიშნის შემცველი **ძალამქ** ფორმა მეგრულში იხმარება ზმნათა ერთ ჯგუფთან, რომელიც verba sentiendi-დ იწოდება. ეს ზმნებია: ახიოლუ „გაუხარდა“, ეოცუ „ეოცა“, ეწყინუ „ეწყინა“, მეეწონუ „მოეწონა“ (კაჭარავა 1969,

505-508).

გ. კაჭარავა ვარაუდობს, რომ ძალამი / ძალამქ / ძალამს ადრეულ საფეხურებზე ზედსართავი იყო და უკავშირდებოდა არსებით სახელს. ზმნიზედის გაგება შეიძინა გვიან, როცა ზმნას დაუკავშირდა (კაჭარავა 1969, 507).

ვითარების ზმნიზედების ერთ ჯგუფს სინქრონიულ დონეზე რადგან შემორჩა რამდენიმე ბრუნვის ფორმის გამოხატვის თვისება, ჩვენ გითვალისწინებთ ამ თავისებურებას სეგმენტირებისას, ბრუნვის ნიშანს გამოვყოფთ და შესაბამის გლოსასაც ვანიჭებთ:

ძალამ-ქ ახილლუ
ძალიან.ADVM-ERG გაუხარდა
ძალამ-ს ეწყინუ
ძალიან.ADVM-DAT ეწყინა
ნაპეტან-ს ღვარანს
ნამეტანს.ADVM-DAT ყვირის
მაღალ-ო ღურჭულანს
ხმამაღლა.ADVM-ADV ჭიკჭიკებს.

4. მორფოლოგიური გარდაქმნები და ზმნის გლოსირებასთან დაკავშირებული აროპლემები

მორფემათა საზღვარზე მომხდარი ფონოლოგიური გარდაქმნები მეგრულში იმდენად შორს მიდის, რომ ხშირად ჭირს სახელისა თუ ზმნის მორფოლოგიური სეგმენტაცია და შესაბამისი კვალიფიკაცია. ამის მიზეზი ისაა, რომ მეგრული ზეპირმეტყველების ენაა, უმნერლობოა, არ ხდება ამ ენის სტანდარტიზება და, ცხადია, რაიმე ნორმის გამოყოფასა და დადგენაზე საუბარი შეუძლებელია. ეს ვითარება კი ენას უფრო მოქნილს ხდის და გასაქანს აძლევს რაიმე „ჩარჩოში“

მოუქცევლად განვითარდეს, რაც, თავის მხრივ, საფუძველია ამ ენაში ღრმა მორფონოლოგიურ გარდაქმნათა პროცესისა.

მორფემათა დალაგება მხოლოდ ფორმის ეტიმოლოგიურად (=თავდაპირველი ფორმის) აღდგენის მეთოდით ხერხდება. ასეთ მიმდევრობაში კი კარგად ჩანს ამ ფორმის ამოსავალი ვითარება, რადგან შეუცვლელად არის მოცემული ყველა საჭირო / საგულვებელი მორფემა.

4.1. პრეფიქსულ მორფემათა მორფონოლოგიური ტრანს-ფორმაციები და მათი ჩანერის პრინციპები

რანგობრივი სტრუქტურის მიხედვით, ზმნის პრეფიქსთა ჯაჭვში ერთდროულად რეალიზების საშუალება 5 ელემენტს აქვს. სეგმეტირებისას, ცხადია, სუთივე მორფემა გამოიყოფა (მათი არსებობის შემთხვევაში) და მას გლოსირებული ჩანაწერში სათანადო მორფოლოგიური კვალიფიკაცია ეძლევა.

ჩანერის პრინციპები მოიცავს სპეციფიურ შემთხვევებსაც, მაგალითად, როცა:

1. პირველი პირის ნიშანი ინფიქსურად ინაცვლებს ფუძის შიგნით ან იგი | რანგის ხმოვან პრეფიქსთან ცვლის მისთვის რანგით გათვალისწინებულ ადგილს (მეტათეზისის შემთხვევები);
2. რომელიმე მორფემა ნულოვანი ალომორფითაა წარმოდგენილი;
3. მორფემათა საზღვარზე ფონოლოგიურად ფუძე იმდენადაა ტრანსფორმირებული, რომ პირის ნიშნისა და ძირის ანლაუტში არსებული თანხმოვნის გამოყოფა ჭირს, არადა ეს ძირი ხშირად მხოლოდ ერთი თანხმოვნითაა წარმოდგენილი.

4.1.1. პირის პრეფიქსულ მორფებთან დაკავშირებული საკითხები და მათი გლოსირება. მეგრულში როგორც პირველ სუბიექტურ, ისე პირველ ობიექტურ პირთა -ბ-, -ფ-, -პ-, -ღ ალომორფები განიხილება როგორც ძირითადი ვ- (S1) და მ- (O1) მორფების პოზიციური ვარიანტები, რომლებიც ფონოლოგიურად, კერძოდ, მომდევნო თანხმოვნის რაგვარობითაა შეპირობებული და პომოგენურობის პრინციპს ემყარება (გუდავა, გამყრელიძე 2000, 168).

მეორე სუბიექტურ პირს (S2) ნიშანი არა აქვს (იგულისხმება პრეფიქსული მორფემა), მეორე ობიექტური პირი (O2) კი წარმოდგენილია გ-, რ-, ღ- ალომორფებით.

რანგობრივი სტრუქტურის მიხედვით, ფუძიდან უახლოესი ხმოვანპრეფიქსული თავსართია (I), ხოლო შემდგომ პირის მორფემა (II). პირველი პირის მარკერი ზოგადად არასტაბილურობას იჩენს და მან შეიძლება გადაინაცვლოს:

1. ხმოვანი პრეფიქსის შემდგომ (ანუ ვ-ი-R- მიმდევრობა შეიძლება შეიცვალოს ი-ვ-R- მიმდევრობით. ხმოვანი პრეფიქსი ფუნქციურად ვერსიის ან პასივის ნიშანია);
2. ფუძის შიგნით¹ (ანუ ფუძე შეიძლება გაიხლიჩოს და პირის მარკერი ინფიქსურ ელემენტად იქცეს; ასეთი მიმდევრობისთვის გვექნება შემდეგი ჩანაწერი: <-ვ²-R>)

(1) ვ-ი-მუშ-ენ-ქ

ი-<ვ>-მუშ-ენ-ქ

ი-მუ-<ფ>-შ-ენ-ქ

S1-SV-მუშაობა.FUT-THM-
S1/S2.SG

<S1>- SV- მუშაობა.FUT-
THM-S1/S2.SG

<S1>-SV- მუშაობა.
FUT-THM-S1/S2.SG

1. აღნიშნული მსჯელობა ძირითადად ეხება მეგრული ენის დასავლურ (ზუგდიდურ-სამურზაყანულ) დიალექტს, აღმოსავლურში (სენაკურ-მარტვილურში) ვ-ს ადგილი სტაბილურია (კარტოზია და სხვ. 2010, 153).

2. ან მისი რომელიმე ალომორფი.

(2) ვ-ი-ბარ-უნ-ქ	ი-〈ვ〉-ბარ-უნ-ქ	ი-ბა-〈ბ〉-რ-უნ-ქ
S1-SV-ბარვა-THM-PRS.S1/ S2.SG	<S1>-SV-ბარვა-THM-PRS. S1/S2.SG	<S1>-SV- ბარვა- THM-PRS.S1/S2.SG
(3) ვ-ი-რდ+უ-უ-ქ	ი-〈ვ〉-რდ+უ-უ-ქ ი-ბ- რდ+უ-უ-ქ	
S1-PASS-ზრდა-THM-PRS. S1/S2.SG	<S1>-PASS-ზრდა. THM- PRS.S1/S2.SG	
(4) ვ-ი-ფორ-უნ-ქ	ი-〈ვ〉-ფორ-უნ-ქ	ი-ფო-〈ბ〉-რ-უნ-ქ
S1-SV-ფარვა-THM-PRS.S1/ S2.SG	<S1>-SV-ფარვა-THM- PRS.S1/S2.SG	<S1>-SV-ფარვა- THM-PRS. S1/S2.SG
(5) ვ-ი-ფორ+უ-უ-ქ	ი-〈ვ〉-ფორ+უ-უ-ქ	ი-ფო-〈ბ〉-რ+უ-უ-ქ
S1-PASS-ფარვა-THM-PRS. S1/S2.SG	<S1>-PASS-ფარვა-THM- PRS.S1/S2.SG	<S1>-PASS- ფარვა- THM- PRS.S1/S2.SG
(6) მ-ფორ-უნ-ს		ფო-〈ვ〉-რ-უნ-ს ფო-〈ბ〉-რ-უნ-ს
O1-ფარვა-THM-PRS.S3.SG		<O1>-ფარვა-THM- PRS.S3.SG
(7) მ-ფულ-უნ-ს		ფუ-〈ვ〉-ლ-უნ-ს ფუ-〈ბ〉-ლ-უნ-ს
O1-მალვა-THM-PRS. S3.SG		<O1>-მალვა-THM- PRS.S3.SG

3. რთული ზმნისწინის შეგნით (იშვიათ შემთხვევაში) და გან-
თავსდეს მარტივ ზმნისწინსა და ლოკალურ ელემენტს შო-
რის:

ი-〈ფ〉-შე+ე-ლ-ენ-ქ-ი=ა < ი-〈ვ〉-შე+ე-ლ-ენ-ქ-ი=ა < ეშე+ე-ვ-ლ-ენ-ქ-ი=ა
PRV1-<S1>-PRV1-ასვლა.FUT-THM-S1/S2.SG-OBL=PTC:ISM

4.1.2. პირის ნულოვანი ალომორფების გლოსირებული ჩანაწერი. სამივე სუბიექტური და მეორე ობიექტური პირის მორფებს გარკვეულ ფონოლოგიურ პოზიციაში¹ ენაცვლება ნულოვანი ალომორფი. გლოსირებული ჩანაწერისას ის აუცილებლად უნდა დაფიქსირდეს და ჩაიწეროს ფრჩხილებში, ხოლო ეტიმოლოგიურ ხაზში უნდა აღდგეს კიდევაც ამოსავალი მორფების სახით.

- პირველი სუბიექტური პირის ნულოვანი ალომორფი:

(1) დუ-ო-თას-აფ-უ+ან-ქ

PRV-(S1)-CAUS1-თესვა.FUT-CAUS1-THM-S1/S2.SG

*დო-ვ-ო-თას-აფ-უ+ან-ქ

PRV-S1-CAUS1-თესვა.FUT-CAUS1-THM-S1/S2.SG

(2) უ-ჭყინჭყოლ-უნ-ქ

(S1)-OV-ჭყლეტა-THM-PRS.S1/S2.SG

*ვ-უ-ჭყინჭყოლ-უნ-ქ

S1-OV-ჭყლეტა-THM-S1/S2.SG

(3) ვა=ო-რწყ-ე-ქ

NPTC=(S1)-NV-ხედვა-CV-PRS.S1/S2.SG

*ვა=ვ-ო-რწყ-ე-ქ

NPTC=S1-NV-ხედვა-CV-S1/S2.SG

- მეორე სუბიექტური პირის ნულოვანი ალომორფი. ზოგადად, S2 პირი ზმნაში მორფოლოგიურად არ გამოიხატება, მაგრამ იგი სწორედ ნიშნის უქონლობით უპირისპირდება დანარჩენ ორ პირს და ამით მეორე პირის სემანტიკაც გასაგები ხდება. მეორე სუბიექტურ პირს პირველი და მეოთხე სერიის ფორმებთან არ სჭირდება აღნიშვნა გლოსირებულ ჩანაწერში,

1. აღნიშნული ფონოლოგიური პოზიციებისათვის იხ. კარტოზია და სხვ., 2010, 157; 166.

თუკი ზმნას ერთვის -ქ სუფიქსი, რომლის გლოსაა: PRS.S1/S2.SG, ვინაიდან იგი შეიცავს ინფორმაციას პირის რომლობის შესახებ. სხვა მწკრივის ფორმებთან კი, განსაკუთრებით აორისატში, მეორე სუბიექტური პირის აღმნიშვნელი გლოსას ფრჩხილებში ჩაწერა აუცილებელია იმავე გრამატიკულ პირზე ინფორმაციის მისაღებად.

(1) გუ-უ-ტ-ე-ვ=ა
PRV-(S2)-OV-გაშვება-PM(AOR:IMPV)-EP=PTC:ISM

(2) ქე=მე-თხ-ი
PPTC=PRV-(S2)-მოკიდება-PM(AOR:IMPV)

(3) მო-რთ-ი=ა
PRV-(S2)-მოსვლა.AOR-PM=PTC:ISM

(4) მიდე-ღ-ი
PRV-(S2)-ნაღება-PM(AOR:IMPV)

(5) ქი=გი-ა-შევ-ი=ა
PPTC=PRV-(S2)-NV-დარტყმა-PM(AOR:IMPV)=PTC:ISM

• მესამე სუბიექტური პირის ნულოვანი ალომორფი.

(1) ღურ-უ < *ღურ-უ-ნ
კვდომა-THM-(PRS.S3.SG)

(2) დო-ღურ-უ
PRV-კვდომა.FUT-THM-(S3.SG)

(3) უ-ჩქ-უ
OV-ცოდნა-THM-(PRS.S3.SG)

(4) დირკ-უ
დრეკა-THM-(PRS.S3.SG)

- გეორე ობიექტური პირის ნულოვანი ალომორფი:

(1) რეფ-უნ-ს

(O2)-თხლეშა-THM-S3.SG

*რ-რეფ-უნ-ს < გ-რეფ-უნ-ს

O2-თხლეშა-THM-S3.SG

(2) ქო=ი-ძირ-უ

PPTC=(O2)-OV-ნახვა-AOR.S3.SG

*ქო=გ-ი-ძირ-უ

PPTC=O2-OV-ნახვა-AOR.S3.SG

(3) ქო=ი-ჩქ-უ-ნ-ი=ა

PPTC=(O2)-OV-ცოდნა-THM-PRS.S3.SG-OBL=PTC:ISM

*ქო-გ-ი-ჩქ-უ-ნ-ი=ა

PPTC=O2-OV-ცოდნა.PRS-THM-PRS.S3.SG-OBL=PTC:ISM

4.1.3. ფონოლოგიური გარდაქმნები პირის ნიშნისა და ფუძის საზღვარზე და ტრანსფორმირებულ ფუძეთა გლოსირებული ჩანაწერი.

ცნობილია, რომ მკვეთრი ც თანხმოვნით დაწყებულ ზმნურ ფუძეზე პირველი სუბიექტური პირის ვ- მორფემის დართვისას შემდეგი ფონოლოგიური გარდაქმნები ხდება: ვ+ ც > პ-ც > პ: ვ-ციდულენჯ > *პ-ციდულენჯ > პიდულენჯ „ვყიდულობ“, ვ-ც-იი > *პ-ც-იი > პიი „ვყავი“, ვ-ც-უნჯ > *პ-ც-უნჯ > პუნჯ „ვყავარ“, ვ-ც-ოფექ > *პ-ც-ოფექ > პოფექ „ვყოფილვარ“. როგორც დამოწმებული მაგალითებიდან ჩანს, ყველა ამგვარი გარდაქმნა გაშუალებულია პ-ც-ფონემური მიმდევრობით (Кипшиძე 1914, 097, 420-421; გუდავა/გამყრელიძე 1981, 217).

- (1) პ-იდულ-ენ-ქ
 S1-ყიდვა-THM-PRS.S1/S2.SG
 $*პ-ციდულ-ენ-ქ < *ვ-ციდულ-ენ-ქ$
 S1-ყიდვა-THM-PRS.S1/S2.SG

- (2) პ-ოფ-ე-ქ
 S1-ყოლა.PRF-PM-S1/S2.SG
 $*პ-ც-ოფექ < *ვ-ც-ოფექ$
 S1-ყოლა.PRF-S1/S2.SG

- (3) პ-ილ-უნ-ქ
 S1-კვლა- THM -PRS.S1/S2.SG
 $*პ-ცვილ-უნ-ქ < *ვ-ცვილ-უნ-ქ$
 S1-კვლა-THM-PRS.S1/S2.SG

ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანს სენაკურ-მარტვილურში დადასტურებული ზმნური ფორმა **პ-აფ-ე[ნ-ქ]** „ვთა-მაშობ“, რომელიც საკმაოდ რთული ფონოლოგიური გარდაქმნების გზითაა მიღებული: **ვ-ლაცაფ-ე[ნ-ქ] > *ვ-ა-აცაფ-ე[ნ-ქ] > *ვ-ა-ცაფ-ე[ნ-ქ] > *ვ-ცაფ-ე[ნ-ქ] > *პ-ცაფ-ე[ნ-ქ] > პ-აფ-ე[ნ-ქ]**
პ-აფ-ე[ნ-ქ]

S1-თამაში-THM-S1/S2.SG

***ვ-ლაცაფ-ენ-ქ**
 S1-თამაში-THM-S1/S2.SG

განსხვავებული ვითარებაა ფუძეებში, რომლებშიც ძირი-სეული მორფები არის წარმოდგენილი და **პ-ც-ე > *პ-ც-ე > პ-ა** ფონოლოგიური გარდაქმნის შემდგომ მხოლოდ ერთი **პ-** თანხმოვანი რჩება. დგება ცალად დარჩენილი თანხ-

მოვნის მორფოლოგიური კვალიფიკაციის საკითხი; კერძოდ, მორფებათა რომელ რიგს მიეკუთვნება იგი, ძირს გამოხატავს თუ პირს? ვფიქრობთ, ასეთ დროს რელევანტურია მორფების კვალიფიკაცია, რადგან პირის მარკერის აბსტრაქციის ხარისხი მაღალია ფუძესთან შედარებით.

(1) პ-ი-ი || პ-ე-ი > პ-ი

S1-ყოლა.AOR-PM > S1-(ყოლა.AOR)-PM

*პ-ც-ი < *ვ-ც-ი

S1-ყოლა.AOR-PM

(2) პ-უნ-ქ

S1-(ყოლა)-PRS.S1/S2.SG

*პ-ც-უნ-ქ < *ვ-ც-უნ-ქ

S1-ყოლა-PRS.S1/S2.SG

სენაკურ-მარტვილურ დიალექტში დასტურდება „სვლის“, განზოგადებული მნიშვნელობით „სიარულის“ აღმნიშვნელი სხვადასხვა ზმნისწინდართული ფორმა, რომლებშიც ძირისეული მორფემა ნულოვანია: **მინი-პ-ი¹**, „შევედი“, ეკი-პ-ი „ავედი აღმართზე“, **დი-პ-ი** „დავიარე“, **ალე-პ-ი** „ჩავედი დაღმართზე“². ამგვარი ფორმები რთული ფონოლოგიური გარდაქმნების გზითაა მიღებული. სავარაუდოდ, არ გამოირიცხება უკვე გარდაქმნილ ფუძეთა ანალოგიაც (გერსამია 2010, 106-108). ამგვარ ფორმათა გლოსირებულ ჩანაწერში ძირისეული მორფემა ფრჩხილებშია მოთავსებული:

-
1. ამგვარ ფორმათა დაწერილებითი ანალიზისათვის იხ. გერსამია 2010, 101-112.
 2. აღნიშნულ ფორმებში ზმნისწინები მხოლოდ ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულებას ცვლიან.

- (1) მინი-პ-ი „შევედი“
 PRV-S1-(სვლა.AOR)-PM
 *მინი-ვ-ცი-ი < *მინი-ვ-ლ-ი
 PRV-S1-სვლა.AOR -PM
- (2) მი-ნო-პ-ე-ქ „მივდიოდი თურმე“
 PRV-RES1-S1-(სვლა)-RES1-S1/S2.SG
 *მი-ნო-პ-ც(ვ)-ე-ქ < *მი-ნო-ვ-ც(ვ)-ე-ქ
 PRV-RES1-S1-სვლა-RES1-S1/S2.SG

ზოგიერთ ზმნაში ერთდროულად ხდება რამდენიმე ფონოლოგიური პროცესი, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ მორფოლოგიურ სეგმენტაციას და შესაბამისი გლოსირებული ჩანაწერის გაკეთებას:

- (1) ი-<პ>-იდ-ი
 <S1>-SV-ყიდვა -PM:AOR
 *ი-პ-ციდ-ი < *ი-ვ-ციდ-ი < ვ-ი-ციდ-ი
 * <S1>-SV-ყიდვა-PM:AOR < S1-SV-ყიდვა-PM:AOR
- (2) ი-<პ>-ილ-უნ-ქ
 <S1>-SV-კვლა -THM-S1/S2.SG
 *ი-პ-ცვილ-უნ-ქ < *ი-ვ-ცვილ-უნ-ქ < ვ-ი-ცვილ-უნ-ქ
 * <S1>-SV-კვლა-THM-S1/S2.SG < S1-SV-კვლა-THM-S1/S2.SG

ზოგჯერ გარდაქმნილი ფუძე ახალ ფუძედ გაიგება და სენაკურ-მარტვილურში თავიდან ირთავს პირველი სუბიექტური პირის ვ- მორფემას; ამგვარ ფუძეებში სინქრონიულ დონეზე ინფიქსური ალომორფი პ- გაგებული უნდა იქნეს ფუძეს

შეხორცებულ ელემენტად, ამიტომ შეიძლება სასაზღვრო ნიშნად ავირჩიოთ პლუსი (+), ხოლო კვლავდართული ვ- მორფება პირის ნიშნად ჩაიწერება. გლოსირებული ჩანაწერისას კი ეტიმოლოგიურ ხაზში უნდა დაფიქსირდეს ერთი ფორმის ფარგლებში ორივე ალომორფის თანაარსებობა. აღნიშნული საკითხი უნდა აიხსნას იმით, რომ სენაკურ-მარტვილურისთვის ვ- მორფების გარდაქმნა სხვა ალომორფებად, პომოგენურობის პრინციპის შესაბამისად, ძირითადად, არ ხდება, ამიტომაც ვ- ალომორფის გააზრება სუბიექტობის სემანტიკის გასაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა და ხელახლა დაირთო პირველი სუბიექტური პირის აღმნიშვნელი ის მორფება (ვ-), რომელიც ამ დიალექტისთვის ძირითადია, თუ ერთადერთი არა.

(3) ვ-ი-პ+იდ-ი

S1-SV-ყიდვა.AOR-PM

ვ-ი-<პ>-იდ-ი < *ი-პ-ციდ-ი < *ი-ვ-ციდ-ი < ვ-ი-ციდ-ი

S1-<S1>-SV-ყიდვა.AOR-PM < * <S1>-SV-ყიდვა.AOR-PM < S1-
SV-ყიდვა.AOR-PM

(4) ვ-ი-პ+ილ-უნ-ქ

S1-SV-კვლა-THM-S1/S2.SG

ვ-ი-<პ>-ილ-უნ-ქ < *ი-პ-ცვილ-უნ-ქ < *ი-ვ-ცვილ-უნ-ქ < ვ-ი-ცვილ-უნ-ქ

S1-<S1>-SV-კვლა-THM-PRS.S1/S2.SG < * <S1>-SV-კვლა-THM-
PRS.S1/S2.SG < S1-SV-კვლა-THM-PRS.S1/S2.SG

**4.1.4. ზმნისწინის, დადასტურებითი და უარყოფითი
ნაწილაკების ხმოვნითი ნაწილი
და ხმოვანი პრეფიქსები
(კურსის, პასივის, პოტენციალისის, კაუზაციის ნიშნები)**

ზმნისწინის სტრუქტურა მეგრულში საკმაოდ რთულია, რადგან მის აგებაში მონაწილეობები ნაწილაკებიც. გამოყოფენ მარტივ და რთულ (კარტოზია და სხვ., 2010, 196), ზოგჯერ „ზერთულ“ ზმნისწინებსაც (კიპშიძე 1914, 0108; ასათიანი 1953; ქაჯაია 2001, 60), მაგრამ გლოსირების პრინციპებთან დაკავშირებით საინტერესოა ზმნის ბოლოკიდური ხმოვნისა (ან ცალხმოვნიანი ზმნისწინის) და ხმოვანი პრეფიქსების ფონ-ეტიკური ურთიერთობა. „ასიმილაციის გავლენა [მეგრულში] განსაკუთრებით ძლიერია თავსართთანდებულებსა და ზმნათა ფუძეებს შორის, აგრეთვე ამ უკანასკნელებსა და სხვადასხვა ნაწილაკებს შორის, როგორიცაა მაგალითად, უარყოფითი ნაწილაკი ვა- და მტკიცებითი ნაწილაკი ქო-“ (ყიფშიძე 1919-1920, 728). რამდენადაც განსაზღვრულია (წინასწარ ცნობილია) როგორც ცალი თანხმოვნით წარმოდგენილი ზმნისწინები, ასევე ზმნისწინთა, დადასტურებით და უარყოფით ნაწილაკთა ბოლოკიდური ხმოვნები, ხმოვან პრეფიქსებთან მათი ურთიერთობა იძლევა შემდეგ კომბინაციებს: **აა, ეე, ოო, აუ, ოუ, ოო, რაც** მორფემათა საზღვარზე ქმნის სათანადო ფონეტიკურ გარემოს გარდაქმნისთვის (ტრანსფორმაციითვის); კერძოდ, მეგრულისთვის დამახასიათებელი რეგრესული, ხმოვნებს შორის სრული, ასიმილაციის შედეგად ერთნაირი ხმოვნები იყრიან თავს და ხდება ჯერ მათი გემინაცია, შემდეგ შერწყმა. ტრანსფორმაციაში მონაწილეობს ხმოვანი პრეფიქსი, როგორც მასიმილირებელი ელემენტი, მაგრამ, როგორც წესი, ცვლილების კვალი რჩება ზმნისწინზე. სეგმენტირებისას ზმნისწინი კარგავს ბოლოკიდურ ხმოვანს. იმის მიხედვით, რა სტრუქ-

ტურისაა, შეიძლება დარჩეს ოთხი, სამი, ორი ან ცალი თანხ-მოვნითაც კი. ცალი თანხმოვნით რჩებიან დადსტურებითი ან უარყოფითი ნაწილაკებიც, როცა ზმნისწინის გარეშე დაე-რთვიან ზმნას¹; ხოლო ზმნისწინზე დართვისას ნაწილაკები ტრანსფორმაციაში არ მონაწილეობენ.

მაგალითებს განვიხილავთ ხმოვანთა სავარაუდო კომპი-ნაციების მიხედვით, რაც მოგვცემს ინფორმაციას ხმოვანთ-კომპლექსების ტენდენციასა და სიხშირეზე. კონკრეტული ხმოვანი პრეფიქსის ფუნქციაზე გლოსირებული (ანოტირებუ-ლი) ჩანაწერი მიუთითობს.

თითოეულ მაგალითთან წარმოვადგენთ არა მხოლოდ ეტი-მოლოგიურ ფორმას, არამედ ფორმათა ტრანსფორმაციის გზასაც.

(1) ვა=გ-ა-რჩქინ+ინ-ე

NPTC=PRV-POT1-გაჩენა.FUT-POT1-(S3.SG)

*ვა=გო-ა-რჩქინ-ინ-ე

NPTC=PRV-POT1-გაჩენა-THM-POT1-(S3.SG)

*ვაგოარჩქინინე > ვაგაარჩქინინე > ვაგარჩქინინე

(2) გ-ა-კეთებ-აფ-უან-ს

PRV-CAUS1-კეთება.FUT-CAUS1-THM-S3.SG

*გო-ა-კეთ-ებ-აფ-უან-ს

PRV-CAUS1-კეთება.FUT-THM-CAUS1-THM-S3.SG

*გოაკეთებაფუანს > გააკეთებაფუანს > გაკეთებაფუანს

1. ი. ყიფშიძე აღნიშნავდა, სალიტერატურო ენაში „ფონეტიკური დასაბამი ხელს უწყობს ასიმილაციის პროცესს, მაგრამ მორფოლოგიური სტრუქტურის შენ-არჩენების ტენდენცია ენინააღმდეგება მას. მეგრულში კი, რომელიც სალიტ-ერატურო ენა არ არის, უპირატესობა ეძლევა ფონეტიკურ დასაბამს“ (ყიფშიძე 1919-1920, 723).

(3) გე-ე-ბ-ხარ-ი

PRV-PASS-S1-გახარება.AOR-PM

*გაიძხარი > გეებხარი > გებხარი (ყიფშიძე 1919-1920,729)

(4) დ-ი-ჭყ-ი < *დო-ი-ჭყ-ი

PRV-(S2)-SV-დაწყება.AOR-PM

*დოიჭყი > დიიჭყი > დიჭყი

(5) დ-ი-ჭყ-უ < *დო-ი-ჭყ-უ

PRV-SV-დაწყება-AOR.S3.SG

დოიჭყუ > დიიჭყუ > დიჭყუ

(6) დ-უ-ჭარ-უნ-ქ < დუ-უ-ჭარ-უნ-ქ < *დო-ვ-უ-ჭარ-უნ-ქ

PRV-(S1)-OV-წერა.FUT-THM-S1/S2.SG

შენიშვნა: ო-სა და უ ხმოვნების წინ S1-ის ვ-, როგორც წესი, იკარგება და ზმნისწინის ხმოვნითი ნაწილისა და ხმოვანი პრე-ფიქსების ურთიერთობას ხელს არაფერი უშლის. ეს პროცესი განაპირობებს აგრეთვე | და || პირის ფორმათა დამსგავსება-საც, ამიტომ მათ ცალ-ცალკე არ განვიხილავთ: *დო-(S2)-უ-ჭარ-უნ-ქ > დოუჭარუნქ > დუუჭარუნქ > დუჭარუნქ

(7) დ-უ-ჭარ-უ

PRV-OV-წერა.PRF-THM-(S3.SG)

*დო-უ-ჭარ-უ-(6)

PRV-OV-წერა.PRF-THM-(S3.SG)

*დო-უ-ჭარ-უ-ნ > დუუჭარუ > დუჭარუ

(8) გ-უ-რჩქინ-უ-ნან=ი < *გო-უ-რჩქინ-უ-ნან=ი

PRV-OV-გორჩქინა.PRF-THM-S3.PL=CONJ(that)

*გოურჩქინუნანნი > გუურჩქინუნანი > გურჩქინუნანი

(9) გ-უ-კეთ-ეს < *გო-უ-კეთ-ეს

PRV-OV-კეთება-AOR.S3.PL

*გოუკეთეს > გუუკეთეს > გუკეთეს

(10) გაგმ-უ-რულ-უ-ნა < *გაგმო-უ-რულ-უნ-ნან

PRV-OV-სირბილი.PRF-THM-S3.PL

გაგმო-უ-რულუნან > გაგმუ-უ-რულუნან > გაგმ-უ-რულუნან

(11) გ-უ-მორძგ-უ < *გო-უ- მორძგ-უ

PRV-SV-გამარჯვება-AOR.S3.SG

*გოუმორძგუ > გუუმორძგუ > გუმორძგუ

უარყოფის ნაწილაკის ხმოვნითი ნაწილი და პოტენციალი-სის ხმოვანი პრეფიქსი მხოლოდ ბგერათშერნყმის საფეხურს გადიან. გემინირებულხმოვნიანი ფორმაც ჩვეულებრივ იხ-მარება, როგორც ყველა ზემომოყვანილი მაგალითების შემ-თხვევაში.

(12) ვა=ა-ჭკომ-ე > ვ=ა-ჭკომ-ე

NPTC=POT1-ჭამა-POT1-(PRS.S3.SG)

აღნიშნული ფორმა და მისთანანი წყვეტილში მხოლოდ გემინირებულხმოვნიანი ვარიანტით დასტურდება აღმოსავ-ლურ არეალში.

(13) ვა=ა-ჭკომ-უ

NPTC=POT-ჭამა-AOR.S3.SG

როგორც ჩანს, ბგერათშერნყმის პროცესს ხელი შეუშალა მნიშვნელობის ცვლამ. შდრ: ვაჭკომუ ნიშნავს „არ შეჭამა“ და არა „ვერ შეჭამა“; თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დასავლურ არეალში მოქმედებს მისთვის დამახასიათებელი ბგერათშერნ-ყმის წესი და მხოლოდ ვაჭკომუ ფორმაა რეალიზებული ორივე მნიშვნელობით; სემანტიკურ სხვაობას ქმნის კონსტრუქცი-ის აგების წესი; კერძოდ, ერგატიული აღნიშნულ ზმნას „არ

შექამას“ მნიშვნელობით იყენებს, დატიური - „ვერ შექამას“; შესაბამისად, განსხვავებულია ზმნათა სეგმენტაცია და გლოსა:

ბები-ქ ოქონმალ-ი ვა-ჭკომ-გ

ბებია-ERG საჭმელი-NOM NPTC= ჭამა-AOR.S3.SG

ბები-ს ოქონმალ-ქ ვ=ა=ჭკომ-გ

ბებია-DAT საჭმელი-ERG NPTC=POT-ჭამა-AOR.S3.SG

ცნობილია, რომ მეგრულში ქო „ქე“/„კი“ დადასტურებითი ნაწილაკი ზმნაში ლექსიკური და მორფოლოგიური მნიშვნელობით გვხვდება. ფონეტიკურ პროცესებში მონაწილეობის შემდეგ განიცდის ტრანსფორმაციას.

(14) ქ-ი-ბ-ჩხუბ-ი < ქი-ი-ბ-ჩხუბ-ი > *ქო-ი-ბ-ჩხუბ-ი

PPTC=SV-S1-ჩხუბი.AOR-PM

(15) ქ-უ-ღუ-დ-უ < ქუ-უ-ღუ-დ-უ < ქო-უ-ღუ-დ-უ

PPTC=OV-ქონა.PST-IMP-S3.SG

შენიშვნა: ენობრივად საინტერესოა ისეთი შემთხვევა, როცა ასიმილაციას განიცდის როგორც დადასტურებითი ნაწილაკის, ასევე ზმნისწინის ხმოვანი, თუმცა ბგერათა გემინაციასა და შერწყმაში მონაწილეობს მხოლოდ ზმნისწინი.

(16) ქუ-მ-უ-რთ-უმ-უ < ქუ-მუ-უ-რთ-უმ-უ < *ქო-მუ-უ-რთ-უმ-უ¹ < *ქო-მო-უ-რთ-უმ-უ

PPTC=PRV-OV-მოსვლა-THM-(S3.SG)

შენიშვნა: ზმნისწინთან კომბინაციაში სიტყვის თავში მდგარი უარყოფის ნაწილაკის ხმოვანი არასდროს განიცდის ფონეტიკურ ცვლილებას.

(17) ვა=მ-ა-შქ-უ < ვა-მა-ა-შქ-უ < *ვა-მო-ა-შქ-უ

NPTC=PRV-NV-მოშვება-AOR.S3.SG

ვა- ნაწილაკი უცვლელი რჩება მაშინაც, როცა სამივე (უარყოფითი, დადებითი ნაწილაკები და ზმნისწინი) ერთად იყრის თავს).

1. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ენა ტოვებს ამ საფეხურს და ასიმილაციას ერთდროულად ახორციელებს, მაშინ საწყისიდან (I-დან) III ფორმა მიიღება.

(18) ვა=ქუ=მ-უ-რთ+უმ-უ-ნ=ო

NPTC=PPTC=PRV-OV-მოსვლა.PRF-THM-S3.SG=QPTC

*ვაქომოურთუმუნო > ვაქუმუურთუმუნო > ვაქუმურთუმუნო.

„საურთიერთო ასიმილაცია ზოგჯერ ხდება თანხმოვანი ბგერის გადაღმ-გადმოლმაც ანსა და ინს შორის“:

(19) ვე=გშა-რთ-გ

NPTC=PRV-გამოსვლა-AOR.S3.SG

ასიმილაციის მსვლელობა ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

*ვაგიშართგ > ვაიგშართგ > ვეეგშართგ > ვეეგშართგ

(ყიფშიძე 1919-1920, 729)

ზოგჯერ ტრანსფორმაციის გარეშეც იყრის თავს სხვადასხ-ვა ფუნქციის ერთნაირი ხმოვანი და მარტივდება:

(17) შე-ე-ხვენ-უ > შ-ე-ხვენ-უ

PRV-PASS-დაწყება-AOR.S3.SG.

5. ზმრანი სუფიქსური მორფებები და მათი გლოსირება

როგორც ზევით აღვნიშნეთ (იხ. გვ.27-28), მეგრულში ზმ-ნურ სუფიქსურ მორფემათა სინტაგმატური ჯაჭვი თორმეტი რანგის მორფემით არის წარმოდგენილი. ამათგან მხოლოდ შვიდ რანგში გაერთიანებული მორფემები არის ოდენ მორ-ფოლოგიური ფუნქციისა, დანარჩენი ხუთი კი მოდალურ ელ-ემენტთა სისტემაა, ნაწილაკებითა და -ნი, -და კავშირ-ენკლი-ტიკებით, რომლებიც იმ შემთხვევაში ჩნდება, თუ გამოხატულია ზმნის მოდალური სემანტიკა.

მაშასადამე, VI-XII რანგის სუფიქსები რეალიზდება იმ შემ-თხვევაში, თუ

- ზმნა პირობითობის სემანტიკის გადმოსაცემად დაირთავს ზმნური წარმოშობის მორფემიზებულ -კონ ნაწილაკს (VII).

მისი წინამავალი ემფატიკური ხმოვნები (VI) თანხმოვნის შემდგომ პოზიციაში ჩნდება, თუმცა მათი დართვა სავალ-დებულო არ არის.

- ზმნას ერთვის სხვათა სიტყვის ნაწილაკი -ა. მის წინა პოზიციაში კი სავალდებულოა ობლიგატი ხმოვანი (VIII-IX).
- ნაწილაკდართული ფორმა ისევ რთულდება ახალი -ა ნაწილაკით, მხოლოდ ჰიატუსის თავიდან ასაცილებლად ჩნდება ვ კონსონანტი, რომლის რანგიც სისტემაში ცალკეა განსაზღვრული (XI).
- -ნი, -და კავშირ-ენკლიტიკების (XII) არსებობა სინტაქსური კონსტრუქციითაა შეპირობებული.

ოდენ მორფოლოგიური დანიშნულების მორფემათა მაქსიმალური რაოდენობა ხუთია და იგი კაუზატიურ ზმნებში რეალიზდება¹.

5.1. ზმნური თემატური სუფიქსები, კაუზატიკების მარკერი

მეგრულში სუფიქსური მორფემები თანმიმდევრობათა საკმაოდ გრძელ ჯაჭვს ქმნიან. არაკაუზატიურ ზმნებში ფუძიდან უახლოესი თემის ნიშანია (II). თუკი ზმნური ფორმის საწარმოებლად თემისნიშნიანი მასდარია აღებული, თემის ნიშანს ლექსიკალიზების ფუნქცია აქვს და ის ახალი წარმოქმნილი ფუძის ელემენტად განიხილება². მეგრულში ამ რიგის თემის ნიშნებს მიეკუთვნება -ებ, -აფ, -ინ და -უ.

-ებ ქართულიდან ნასხებ სიტყვას გადმოყოლილი თემის ნიშანია და მეგრულში მისი ფუნქციური შესატყვისა -აფ; -ინ, ძირითადად, ფონოსემანტიკური ტიპის მასდარებთან გამოიყენება, იშვიათად გვხვდება სხვა სემანტიკის ფუძეებთანაც; -უ კი ფონოლოგიურად გარდაქმნილი თემის ნიშანია ან თე-

1. მაგალითები იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ. 29-30.

2. აღნიშნული სკითხი მორფემათა რანგობრივი განაწილების თეორიას უკავშირდება. იხ. ამავე ნაშრომში გვ. 26.

მის ნიშნის ნაშთი. სინქრონიულ ხაზზე ასეთ თემის ნიშნებს ფუძესთან პლუს (+) ნიშნით ვაერთებთ, ხოლო ეტიმოლოგიურ ზოლში დეფისით (-) გამოვყოფთ.

კაუზატივის მანარმოებელი **-აფ** სუფიქსი ყველაზე ახლოს მდგომი ზმნური მორფემაა ზმნური ფუძიდან (ეტიმ. ძირი + თემის ნიშანი) მარჯვნივ, ანუ I რანგის მორფემაა, ანტყოში მას მოსდევს **-უან** თემის ნიშანი, რომელიც მეორე (II) რანგის აფიქსია და ზმნურ ძირს მხოლოდ აწმყოში ერთვის. თავად **-უ-ან** სუფიქსთა ისეთი მიმდევრობაა, რომელშიც დიაქრონიულად აღდგება **-უ**-სათვის ამოსავალი თემის ნიშანი; ამიტომ **-უან** თემის ნიშანს, რომელსაც დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე ორ სეგმენტად შლიან¹, სინქრონიულ ხაზში პლუსით ვაერთებთ და რანგობრივ სტრუქტურაშიც ერთიან სუფიქსად განვიხილავთ.

- (1) ვოდარაჯ+ებ **-აფ-უ+ან-ქ**
 დარაჯობა **-CAUS-THM-PRS.S1/S2.SG**
***ვოდარაჯ** **-ებ-აფ-ოუ-ან-ქ < *-ებ-აფ-ოვ-ან-ქ**
-THM1-CAUS-THM2-THM3-PRS.S1/S2.SG
- (2) ოძვირ+ინ **-აფ-უ+ან-ს**
 გამოხედვა **-CAUS-THM-PRS.S3.SG**
***ოძვირ** **-ინ-აფ-ოუ-ან-ს < *-ინ-აფ-ოვ-ან-ს**
-THM1-CAUS-THM2-THM3-PRS.S3.SG
- (3) ვაგინ+აფ **-აფ-უ+ან-ქ**
 არგრძნობინება **-CAUS-THM-FUT.S1/S2.SG**

1. იხ. კიპშიძე 1914, 071; დანელია 1976, 171; კარტოზია და სხვ., 2010, 261.

ცნობილია, რომ ოდინდელმა **-ოვ** თემის ნიშანმა მომდევნო სუფიქსურ ხმოვანთან ერთად მრავალნაირი გარდაქმნა განი-ცადა: **-ოვ-ა** > **უა**, **-ოვ-ი** > **იი**, **-ოვ-ე** > **უე** || **იი**, **-ოვ-უ** > **-უუ** (კარტოზია და სხვ., 2010, 59). ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობ-ლემას წარმოადგენს ამგვარად ტრანსფორმირებულ თემისნიშ-ნიან ფორმათა ჩანს. ეტიმოლოგიურ ხაზში სრულად აღდგება **-ოვ** თემის ნიშანი, ხოლო სინქრონიულ დონეზე მათი ტრანს-ფორმირებული ვარიანტები პლუს (+) ნიშნით მიუერთდება. ამგვარ ნიშანთა შორისაა **-უ** თემის ნიშანი: **უ-წუ-უ** < *უ-წოვ-უ, **სქუ-უ** < *სქოვ-უ, **თხუ-უ** < *თხოვ-უ, **ქუუ** < *ქოვ-უ, **ჭუ-უ** < *ჭოვ-უ, **თქუ-უ** < *თქ-ოვ-უ და ა. შ. ზოგიერთი ამგვარი ზმნის ძირი [C] სტრუქტურისაა, ხოლო მისი მომდევნო [V] სტრუქტუ-რის სუფიქსი ფუნქციური დონის ოდენობაა, კერძოდ, თემის ნიშანია. მეგრულში ძირთა გახმოვანებული და გაუხმოვანებელი ვარიანტები დიალექტთა მიხედვით ნაწილდება; სენაკურ-მარ-ტვილურისათვის გემინირებული ვარიანტია დამახასიათებელი.

$$(1) \quad \text{უ-წ-უ} < \text{უ-წ+უ-უ} < *\text{უ-წ-ოვ-უ}$$

OV-თქმა-AOR.S3.SG < *თქმა-THM-AOR.S3.SG

$$(2) \quad \text{ქ-უ} < \text{ქ+უ-უ} < *\text{ქ-ოვ-უ}$$

ფქვა-AOR.S3.SG < *ფქვა-THM-AOR.S3.SG

$$(3) \quad \text{თხ-უ} < \text{თხ+უ-უ} < *\text{თხ-ოვ-უ}$$

თხოვნა-AOR.S3.SG < *თხოვნა-THM-AOR.S3.SG

როგორც გლოსირებიდან ჩანს, ზემოთ განხილული ზმნები აორისტის III პირის მხოლობითი რიცხვის ფორმებია. I და II პირის ფორმებიც ანალოგიური გარდაქმნების გზითაა მიღებული, მხ-ოლოდ ამ შემთხვევაში **-ოვ** თემის ნიშნის ტრანსფორმაციის

შედეგად -ი ხმოვანი დაჩნდება, იგი თემის ნიშნის ნაშთად უნდა განვიხილოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სინქრონიულ ხაზზე ფუძეში შემავალია, ამიტომ ძირთან პლუსით (+) არის მიერთებული, ხოლო დიაქრონიულ ანუ ეტიმოლოგიურ ხაზზე სრულად -*-ოვ თემის ნიშნის სახით აღდგება და დეფისით გამოიყოფა:

- (1) უ-ნ-ი || < უ-ნ+ი-ი
 (S1)-OV-თქმა.AOR-PM
 *ვ-უ-ნოვ-ი
 S1-OV-თქმა.AOR-THM-PM

- უ-ნ-ი || < უ-ნ+ი-ი
 (S2)-OV-თქმა.AOR-PM
 *უ-ნ-ოვ-ი
 (S2)-OV-თქმა.AOR-THM-PM

- (2) ფ-ქ-ი || < ფ-ქ+ი-ი
 ფქვა.AOR-PM
 *ფ-ქ-ოვ-ი
 S1-ფქვა.AOR-THM-PM

- ქ-ი || < ქ+ი-ი
 (S2)-ფქვა.AOR-PM
 *ქ-ოვ-ი
 (S2)-ფქვა.AOR-THM- PM

- (3) ბ-ი || < ბ+ი-ი
 (S2)-ყოფნა.AOR-PM
 *ბ-ოვ-ი
 (S2)-ყოფნა.AOR-THM-PM

- (4) სქ-ი || < სქ+ი-ი
 (S2)-შობა.AOR-PM
 *სქ-ოვ-ი
 (S2)-შობა.AOR-THM-PM

ანალოგიური გარდაქმნები ხდება ასევე აორისტის III პირის მრავლობით რიცხვეშიც, სადაც ერთმანეთის პარალელურად წარმოდგენილია -უ და -ი-ხმოვნიანი ფუძეები:

- (1) ყ-ის || < ყ+ი-ის || ყ+უ-ეს
 ყოფნა- AOR.S3.PL
 *ყ-ოვ-ის
 *ყოფნა-THM-AOR.S3.PL
- (2) თქვ-ის || < თქვ+ი-ის || თქ+უ-ეს
 თქმა- AOR.S3.PL
 *თქ-ოვ-ის
 *თქმა-THM-AOR.S3.PL

ბოლო ორი მაგალითიდან ჩანს, რომ გვაქვს ძირისეული თანხმოვნები სხვადასხვა გახმოვანებით, რაც შედეგია სხვადასხვაგვარი ტრანსფორმაციისა. პლუსით მიერთებული ხმოვანი სუფიქსისათვის კი ამოსავალია -ოვ თემატური მარკერი: უ < უვ < ოვ < ავ (Кипшидзе 1914, 071; დანელია 1976, 168);

-უ თემის ნიშნის მიღების სხვა გზაც დასტურდება: ავ > ოვ > ოუ > უ (მარგველაშვილი 1988, 197). ამგვარად მიღებული -უ აგრძელებს ტრანსფორმაციას, ვიწროვდება და გადადის ნეიტრალურ ხმოვანში.

- (1) ვა=მ-ო-რკ-გ-დ-ა-ს< ვა=მ-ო-რკ-უ-დ-ა-ს*< ვა=მ-ო-რკ-ოუ/ოვ-დ-ა-ს
NPTC=O1-SV-კლება.PST-THM-IMP-SBJ-S3.SG
- (2) ო-ხიოლ-გ-დ-ეს < ო-ხიოლ-უ-დ-ეს < *ო-ხიოლ-ოუ/ოვ-დ-ეს
NV-გახარება.PST-THM-IMP-S3.PL
- (3) ო-რთ-გ-დ-ეს
NV- ქმნა.PST-THM-IMP-S3.PL
ო-რთ-უ-დ-ეს < *ო-რთ-ოუ/ოვ-დ-ეს
NV- ქმნა.PST-THM-IMP-S3.PL

ხშირად -უ თემის ნიშნად ერთვის კაუზატივის **-აფ** სუფიქსს. მისი წარმომავლობის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. უფრო კონკრეტულად, ამოსავალი მორთვემის თანხმოვნით ელემენტთან დაკავშირებით აზრთა თანხვედრაა, ხოლო ამოსავალი ხმოვნის საკითხთა შესახებ თვალსაზრისის განსხვავებულია (იხ. კარტოზია და სხვ. 2010, 230-231). განზოგადებულ სქემას კი ასეთი სახე აქვს: ***-V3 > -უ.** მეორე სერიაში ზმნას არც მეგრულში არა აქვს თემის ნიშანი, ასეთ შემთხვევაში თემატური ნიშნის ნაშთს პლუსით (+) ვაერთებთ კაუზატივის ნიშანთან:

- (1) ო-ჭარ-აფ+უ-უ
CAUS1-წერა-CAUS1-AOR.S3.SG
ო-ჭარ-აფ-უ-უ < *ო-ჭარ-აფ-V3-უ
CAUS1-წერა-CAUS1-THM-AOR.S3.SG

ამგვარი პრობლემა არ დგას მაშინ, როცა აუსლაუტში ცალი ხმოვანი გვაქვს:

(2) ო-ჭარ-აფ-უ

CAUS1-წერა-CAUS1-AOR.S3.SG

აუსლაუტში მდგარი -უ ფუნქციური დონის ოდენობაა, კერძოდ, აორისტის მარკერია ზმნის მხოლობითი რიცხვის მესამე პირში, თუმცა ამოსავალ ზმნურ ფორმაში მის წინა პოზიციას დაიკავებს თემატური ნიშანი, რომელიც ეტიმოლოგიურ ხაზში აღდგება. ამდენად, ზემოგანხილული ორივე ფორმის ეტიმოლოგიური ხაზი ერთნაირად იქნება წარმოდგენილი.

ანალოგიურია ვითარება პასივის ფორმებთანაც:

(1) ღურ+უ-უ

კვდომა.PASS-THM-(PRS.S3.SG)

*ღურ-ოვ-უ-ნ

კვდომა.PASS-THM1-THM2-PRS.S3.SG

(2) რძ+უ-უ,

გაძლება.PASS-THM-(PRS.S3.SG)

*რძ-ოვ-უ-ნ

გაძლება.PASS-THM1-THM2-PRS.S3.SG

(3) ვ-ი-ფულ+უ-უ-ქ

S1-PASS-მალვა-THM-PRS.S1/S2.SG

*ვ-ი-ფულ-ოვ-უ-ქ

S1-PASS-მალვა-THM1-THM2-PRS.S1/S2.SG

(4) ო-ცალ+უ-უ

PASS-ცელვა.PRS-THM-(S3.SG)

*ო-ცალ-ოვ-უ-ნ

PASS-ცელვა.PRS-THM1-THM2-S3.SG

ამგვარი ფორმები აწმყოს (PRS) ფორმებია და ამიტომაც

სინქრონიულ ხაზში თემატური ნიშანი ჩვეულებრივ დეფისით გამოიყოფა (პლუსით ის მხოლოდ აორისატში უერთდება) და სათანადო კვალიფიკაციაც ეძლევა.

5.2. პასივისა და პოტენციალისის მარკერების გლოსირება

აკაკი შანიძისეული კლასიფიკაციის მიხედვით ზმნის გვარის სამი სახე გამოიყოფა, რომელთაგან მორფოლოგიური ნიშნით მხოლოდ ვნებითია გამოხატული. ვნებითის მანარმოებლები მეგრულში სხვადასხვა ავტორს სხვადასხვაგვარად აქვს გამოყოფილი. ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია -უ სუფიქსთან, რომელიც ყველა ტიპის ვნებითში გვხვდება: უნიშნოსთან (ლურ-უ-(ნ) „კვდება“), სტატიკურთან (რდ-უ-(ნ) „ან-თია“), -დ სუფიქსიანთან (ჭითონ-დ-უ „წითლდება“), პრეფიქსიანებთან (ი-ჭარ-უ-უ-(ნ) „იწერება“, ა-ჭარ-უ-უ-(ნ) „ეწერება“, ე-წუხებ-უ(ნ) „უწუხდება“, ო-ჩქარ-უ-ნ „ეჩქარება“. მიუხედავად განსხვავებისა, ვნებითის ზოგიერთი აფიქსი ან აფიქსის შემადგენლი კომპონენტი სამივე ავტორთან, ი. ყიფშიძე (კიპшиძე 1914, 071), არნ. ჩიქობავა, (ჩიქობავა 1936, 111-116), კ. დანელია (დანელია 1976, 167), ერთნაირად არის გამოყოფილი. ჩვენ ვეყრდნობით კ. დანელიას კვალიფიკაციას, როგორც ყველაზე სრულყოფილსა და თანმიმდევრულს.

•

(1) ი-ხაშ+უ-უ-(ნ)

PASS-ხარშვა-THM-(PRS.S3.SG)

ი-ღობ+უ-უ-(ნ)

PASS-ღობვა-THM-(PRS.S3.SG)

(2) ი-რდ+უ-უ-(ნ)

PASS-ზრდა-THM-(PRS.S3.SG)

ი-დირიკ+უ-უ-(ნ)

PASS-დრეკა-THM-(PRS.S3.SG)

(3) ო-ჭარ+უ-უ-(6)	ი-წირიდ+უ-უ-(6)
PASS-წერა-THM-(PRS.S3.SG)	PASS-წრება-THM-(PRS.S3.SG)

(კარტოზია და სხვა, 2010, 205-206, 209)

3-

(1) ა-ხაშ+უ-უ-(6)	ა-ღობ+უ-უ-(6)
PASS-ხარშვა-THM-(PRS.S3.SG)	PASS-ღობვა-THM-(PRS.S3.SG)
(2) ა-რდ+უ-უ-(6)	ა-ჭ+უ-უ-(6)
PASS-ზრდა-THM-(PRS.S3.SG)	PASS-ჭვა-THM-(PRS.S3.SG)

(3) ა-ჭარ+უ-უ-(6)	ა-დირიკ+უ-უ-(6)
PASS-წერა-THM-(PRS.S3.SG)	PASS-დირიკა-THM-(PRS.S3.SG)

(კარტოზია და სხვა, 2010, 205-206, 209)

როგორც აღვნიშნეთ, ვნებითის აფიქსთა გამოყოფისას წინააღმდეგობრივია სწორედ -უ სუფიქსის გამოყოფა, რადგან -უ სუფიქსი არც ერთი ტიპის ვნებითს არ გადაჰყვება || სერიაში. ეს თავის დროზე ორივე ავტორს (Кипшиძე 1914, 071; ჩიქობავა 1936, 111) ჰქონდა აღნიშნული. ცხადია, ამგვარ-მა ენობრივმა მოვლენამ თავისთავად დააყენა -უ სუფიქსის რაობის საკითხი; მით უფრო, რომ ქართულში ვნებითის წარმოება, ძირითადად, პრეფიქსულია, მეგრულში რატომ უნდა ყოფილიყო კონფიქსური? „უ-ს ხმარების ფაქტი ანალოგიურია ქართულში ებ-ის ხმარებისა: -ებ-ი ქართულში ყველა ტიპის ვნებითს მოუდის (სტატიკურის გამოკლებით): პრეფიქსიანს, სუფიქსიანს, „უნიშნოს“. ამდენად, -უ ფუნქციურად თემატური ნიშნის როლში გამოდის“ (დანელია 1976, 169). „ვნებითის თემა მეგრულში ორმაგი სუფიქსაციით ხასიათდება“ (დანელია 1976, 170). უ-უ დაბოლოების პირველი /უ/-ს ადრინდელი სახეა

/*ოვ/, რომელიც შეიძლება გამარტივდეს და დარჩეს /ო/, შდრ: *იბრდოვუქ > იბრდოუქ > იბრდუუქ.

ქართულიდან ნასესხებ პასივის ფორმებში დასტურდება ე-პრეფიქსიც:

ე-სახელ+ებ-უ

PASS-სახელი-THM-(PRS.S3.SG).

ვნებითის ოდენ სუფიქსური წარმოება იშვიათია მეგრულ-ში, მაგრამ მაინც დასტურდება -დ სუფიქსის სახით¹.

(1) თან-დ-უ-(6)	ჩენ-დ-უ-(6)
თენება- PASS-THM-(PRS.S3.SG)	გაჩერება- PASS-THM-(PRS.S3.SG)
(2) შინ-დ-უ-(6)	ჭითონ-დ-უ
დასიება- PASS-THM-(PRS.S3.SG)	გაწითლება-PASS- THM-(PRS.S3.SG)
(3) შურ-დ-უ-(6)	მოჭყორ-დ-უ-(6)
დაღლა-PASS-THM-(PRS.S3.SG)	დავიწყება-PASS-THM-(PRS.S3.SG)

(გ. კარტოზია და სხვა, 2010, 206)

ამრიგად, ვნებითი გვარის მანარმოებელი აფიქსებით მე-გრული მთლიანად ქართულს მიჰყვება. მეგრულში ეს აფიქსე-ბია: ი-, ა-, ე- (ქართულიდან ნასესხებ ფუძეებში), -დ.

ვნებით გვარს მეგრულში მჭიდროდ უკავშირდება პოტენ-ციალისის² წარმოება, რადგან სემანტიკურად ეს არის იგივე შესაძლებლობის ვნებითი (შანიძე 1973, 296). პოტენციალისის

1. „ამიტომაც ამ მოვლენას ქართულის გავლენით ხსნინ“ (ჩიქობავა 1936, 114). სხვა ოვალსაზრისით, მეგრულ-ჭანურს ეს სუფიქსი საერთო ჰერიდა ქართულთან (დანელია, 1976, 173). „ვნებით გვარის პრეფიქსული წარმოების უპირატესობით კოლხური ძველ ქართულს უახლოვდება, მაგრამ სუფიქსური წარმოების იშვიათობით ახალ ქართულს შორდება, ე.ი. ამოსავალი ვითარება ერთგვარია, განვითარების ტენდენცია კი - სხვადასხვაგვარი; შდრ. ნოზაძე 1961, 68-71; იმნაიშვილი 1968, 27-54, დანელია 1976, 174.

2. ტერმინი ეკუთვნის არნ. ჩიქობავას (ჩიქობავა 1936, 111-116).

ყალიბია **ი-ე** (ერთპირიანი ზმნებისთვის) და **ა-ე** (ორპირიანი ზმნებისთვის). ორივე შემთხვევაში კონფიქსის ბოლოკიდური ნაწილია **-ე**, რომელიც ქართული ხოლმეობითის ი-ს ბადალად არის მიჩნეული: **ი-ჭვ-ე „ი-წუ-ი-ს“** (ჩიქობავა 1948, 100-101).

(1) ი-ჭარ-ე-(6)	ა-ჭარ-ე-(6)
POT1-წერა- POT1-(PRS.S3.SG)	POT1-წერა- POT1-(PRS.S3.SG)
(2) ი-ჭოფ-ე-(6)	ა-ჭოფ-ე-(6)
POT1-დაჭერა- POT1-(PRS.S3.SG)	POT1-დაჭერა- POT1-(PRS.S3.SG)
(3) ი-ჭკომ-ე-(6)	ა-ჭკომ-ე-(6)
POT1-ჭამა- POT1-(PRS.S3.SG)	POT1-ჭამა- POT1-(PRS.S3.SG)
(4) ი-შვ-ე-(6)	ა-შვ-ე-(6)
POT1-სმა- POT1-(PRS.S3.SG)	POT1-სმა- POT1-(PRS.S3.SG)
(5) ი-ლინ-ე-(6)	ა-ლინ-ე-(6)
POT1-სვლა- POT1-(PRS.S3.SG)	POT1-სვლა- POT1-(PRS.S3.SG)
(6) ი-ღობ-ე-(6)	ა-ღობ-ე-(6)
POT1-ღობვა- POT1-(PRS.S3.SG)	POT1-ღობვა- POT1-(PRS.S3.SG)
(7) ი-დირიკ-ე-(6)	ა-დირიკ-ე-(6)
POT1-დრეკა- POT1-(PRS.S3.SG)	POT1-დრეკა- POT1-(PRS.S3.SG)
(8) ი-წირიდ-ე-(6)	ა-წირიდ-ე-(6)
POT1-წრეტა- POT1-(PRS.S3.SG)	POT1-წრეტა- POT1-(PRS.S3.SG)
(9) ი-ლინ-ე-(6)	ა-ლინ-ე-(6)
POT1-წალება- POT1-(PRS.S3.SG)	POT1-წალება- POT1-(PRS.S3.SG)

(შეროზია 1981, 203; კარტოზია და სხვ. 2010, 206);

ვნებითის ნიუანსები ცალკე ჯგუფს ქმნიან ქართულსა (შან-იძე 1973, 300) და მეგრულშიც. ამ ჯგუფში შედის **მიჩნევისა** და **გუნების** ვნებითები.

მიჩნევის ვნებითები, ქართულის მსგავსად, ორპირიან ნა-
სახელარ ზმნებს ახასიათებთ. გამოიყოფა ო- პრეფიქსი (დანე-
ლია 1976, 172):

მ-ო-მონკ-უ-(6)

O1-PASS-მძიმე-THM-(PRS.S3.SG)

მ-ო-ჭიჭარ-უ-(6)

O1-PASS-პატარა/ცოტა-THM-(PRS.S3.SG)

ამ ტიპის ზმნათა თავისებურება ის არის, რომ II სერიის
მნერივებში ო- წარმოებიდან ე- წარმოებაზე გადადიან:

მ-ე-მონკ-უ-(6)

O1-PASS-მძიმე-AOR.S3.SG

მ-ე-ჭიჭარ-უ-(6)

O1-PASS-პატარა/ცოტა-AOR.S3.SG

შენიშვნა: წარმოების გამოცვლა სემანტიკური დიფერენ-
ციაციის საჭიროებით ჩანს მოტივირებული: თუ ამ ზმნებს
წყვეტილი ო- პრეფიქსით ექნებოდათ ნანარმოები, მხოლო-
ბითი რიცხვის მესამე სუბიექტურ პირში (რაც ყველაზე ხშირი
ხმარებისაა) წყვეტილი დაემთხვეოდა აწმყოს (დანელია 1976,
176).

გუნების ვნებითი ა- პრეფიქსით აწარმოებენ ფორმებს
ჩვეულებრივი ვნებითის მსგავსად:

მ-ა-ძიცინუაფ-უ-(6)

O1-PASS-სიცილი-THM-(PRS.S3.SG)

ამ ტიპის ფორმებში ყურადღებას იქცევს -უ-აფ- მიმდევრო-
ბა, რომელიც მოქმედებითის ფორმებშიც ვლინდება -უ-ან-ის
სახით: ო-ძიცინ-უ-ან-ს „აცინებს“. ტ. გუდავას აზრით, -უა-ფ
< -ავ-აფ დაბოლოება შეეფარდება ქართულ -ევ-ებ დაბოლე-
ბას (გუდავა 1969, 12). ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით,
გუნების ვნებითების შესაბამისი გლოსა ასეთია:

მ-ა-ძიცინ+უ+აფ-უ-(6)

O1-PASS-სიცილი-THM-(PRS.S3.SG)

5.3. პირისა და რიცხვის გამომხატველი სუფიქსები

I და II სუბიექტური პირის ფორმები პირველი სერიის ან-მყოსა და მყოფადის, ასევე მეოთხე სერიის მესამე თურმეობი-თის მხოლობითში დაირთავენ -ქ სუფიქსს, რომელიც საკუთრივ მეგრულისათვის დამახასიათებელი სუფიქსია და ფუნქციურად სუბიექტობის სემანტიკის გამომხატველია (ეზუგბაია 2010, 144).

(1) ვ-ზიმ-უნ-ქ

S1-ზომვა-THM-PRS.S1/S2.SG

ზიმ-უნ-ქ

ზომვა-THM-PRS.S2/S1.SG

(2) დო-ვ-ზიმ-უნ-ქ

PRV-S1-ზომვა.FUT-THM-S1/S2.SG

დო-ზიმ-უნ-ქ

PRV-ზომვა.FUT-THM-S2/S1.SG

(3) ნო-ვ-ზიმ+უ-ე-ქ

RES1-S1-ზომვა-RES1-S1/S2.SG

ნო-ზიმ+უ-ე-ქ

RES1-(O1)-ზომვა-RES1-S2/S1.SG

მეგრულში მესამე სუბიექტურ პირი მხოლოდ სუფიქსურად გამოიხატება -ნ, -ს/-ც, -უ/გ, Ø ალომორფების საშუალებით. ობიექტურ პირს ნიშანი არა აქვს არც მხოლობითში და არც მრავლობითში.

რაც შეეხება მრავლობითობას, იგი სუბიექტური წყობის ზმნებთან I და II პირში -თ სუფიქსით გამოიხატება, მესამე პირში კი -ნან, -ან, -ნ, -ეს/-ის ალომორფებით; საგულისხმოა, რომ მეგრულში ობიექტური პირების მრავლობითობა გამოიხ-

ატება სუბიექტის მრავლობითობის ყველა ზემოჩამოთვლილი მარკერით. ამდენად, ობიექტური პირი გამოიხატება პრე-ფიქსით, ხოლო სიმრავლე - სუფიქსით (კატოზია 2008, 94; კარტოზია და სხვ., 2010, 174-175).

მეგრულში ხშირად მოკვეცილია ბოლოკიდური -ნ, რო-მელიც საკუთრივ არის მორფემა, კერძოდ, მესამე სუბიექტური პირის ნიშანი მხოლობით რიცხვში ან მრავლობითობის ალმნიშვნელ მორფემათა (-ან, -ნან) შემადგენელი ბოლოკი-დური ელემენტი. იგი გარკვეულ ფონოლოგიურ თუ მორ-ფოლოგიურ პოზიციებში აღდგება (ჩიქობავა 1936, 140, 142; ონიანი 1978, 74; ეზუგბაია 2010, 71; კარტოზია და სხვ. 2010, 167-168), ასეთ დროს მხოლობითი რიცხვის ფორმებთან -ნ-ს ალომორფად უნდა განვიხილოთ ნული და მისი გლოსა ჩაი-წერება მრგვალ ფრჩხილებში; ხოლო -ან, -ნან სუფიქსების შემთხვევაში სინქრონიულ ხაზზე გამოიყოფა -ა (<ან) და -ნა (<ნან) ალომორფები, ხოლო ეტიმოლოგიურ ხაზზე მისი სრული ჩანაწერი გვექნება.

- (1) ღურ-უ
კვდომა-THM-(PRS.S3.SG)
*ღურ-უ-ნ
კვდომა-THM--PRS.S3.SG
- (2) წა-ცონ-ენ-ა < *წა-ცონ-ენ-ან
PRV-გაფუჭება.FUT-THM-S3.PL
- (3) გე-რ-დგ-უნ-ა < *გე-რ-დგ-უნ-ან
PRV-O2-დადგმა.FUT-THM-S3.PL

ალნიშნული ალომორფები ყოველთვის სრულადაა მოცემული, თუ ზმნურ სტრუქტურაში რანგობრივად მისი მომდევნო რომე-ლიმე ელემენტია წარმოდგენილი; იგი აღდგება მაშინაც, როცა

მას მოსდევს დო „და“ ან და „თუ“ კავშირი; ანუ ალომორფთა სრული სახით გამოვლენა სინტაქსურად არის შეპირობებული.

- (1) ჭკომ-უნ-ან=ა
ჭამა-THM-PRS.S3.PL-OBL=PTC:ISM
- (2) ჭკომ-უნ-ან=ო
ჭამა-THM-PRS.S3.PL=QPTC
- (3) ი-შქვიდ-უ-ნ=ო
PASS-ხრჩობა-THM--PRS.S3.PL=QPTC
- (4) ხე-ნ-ი=ა
ზის-PRS.S3.SG-OBL=PTC:ISM

რაც შეეხება **-ნან** ალომორფს, ის მოუდის მედიუმის ფორმებს. ალნიშნული მორფემა დიაქრონიულად იშლება და მიღებულია ორი მორფემის შეერთებით: [-ნ] + [-ან], სადაც პირველი მხოლობითიდან გადმოყოლილი მესამე პირის მორფემაა, ხოლო მეორე რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსია (ჩიქობავა 1936, 91; კარტოზია 2005, 93; შენიშვნა 63; კარტოზია და სხვ. 2010, 168-169).

სინქრონიულ დონეზე სეგმენტირებისას **-ნან** ერთად გამოიყოფა, როგორც პირისა და რიცხვის აღმნიშვნელი მარკერი, მისი წარმომავლობა ჩანს ეტიმოლოგიურ-დიაქრონიულ ხაზზე:

- (1) ი-შქვიდ-უ-ნან-ი=ა
PASS-ხრჩობა-THM-PRS.S3.PL-OBL=PTC:ISM
*ი-შქვიდ-უ-ნ-ან-ი=ა
PASS-ხრჩობა-THM-PRS.S3.SG-PL-OBL=PTC:ISM
- (2) ი-რდ-უ-ნან=ო
PASS-ზრდა-THM-PRS.S3.PL=QPTC

- (3) *ი-რდ-უ-ნ-ან=ო
PASS-ზრდა-THM-PRS.S3.SG-PL=QPTC
- (4) ხ-ე-ნა <*ხ-ე-ნან
ჯდომა-CV-PRS.S3.PL
- (5) რ-ე-ნა < *რ-ე-ნან
ყიფნა-CV-PRS.S3.PL

5.3.1. მორფონოლოგიური გარდაქმნები თემის ნიშნისა და მრავლობითობის გამომხატველი -ეს სუფიქსის საზღვარზე

მეგრულში მრავლობითობის გამომხატველი -ეს სუფიქსი ქართულიდანაა შეთვისებული (ფოჩხუა 1961, 60; როგავა 1968, 76; ეზუგბაია 1996, 72; ონიანი 1978, 208). და იგი ზმნურ ფუძეს ერთვის უწყვეტელში, ხოლმეობითში, აორისტში, პირველ, მეორე და მესამე პირობითში, მეორე და მეოთხე თურმეობითში (კარტოზია და სხვ. 2010, 173).

-ეს სუფიქსის ალომორფია -ის, რომელიც თემის ნიშნისა (ან დიაქრონიულად თემის ნიშნის) და რიცხვის მარკერის საზღვარზე მომხდარი მორფონოლოგიური გარდაქმნებითაა მიღებული. საგულისხმოა, რომ ეტიმოლოგიურ საზზე აღნიშნული ხმოვნები უნდა განვიხილოთ თემის ნიშნის ალომორფებად, რომლებიც შემდეგი ფონოლოგიური გარდაქმნების გზითაა მიღებული:

1. პირველი საფეხურია თემის ნიშნის გარდაქმნა ოვ > უ:¹ *ნ-ოვ- > ნ-უ, *თე-ოვ- > თე-უ, *შ-ოვ- > შ-უ.
2. შემდგომი ეტაპი უკვე გარდაქმნილი თემის ნიშნისა და -ეს მორფემის საზღვარზე საფეხურებრივად ხორციელდება:
 - ასიმილაცია: -უ-ეს > -ე-ეს, რაც გახდა საფუძველი ხმოვანთა გემინაციისა. ეტიმოლოგიურ საზზე წინამავალი ე- თემის ნიშნადა უნდა კვალიფიცირდეს, ის -უ თემის ნიშნის ტრანსფორმირებული ვარიანტია: *-ოვ > -უ > -ე;

1. დაწვრილებით იხ. ამავე მონოგრაფიაში გვ.: 63-64.

- დისიმილაცია: **-ე-ეს > -ე-ის**, რომლის საფუძველზეც უკვე მივიღეთ რიცხვის გარდაქმნილი ალომორფი **-ის**;
- ასიმილაცია **-ე-ის > -ი-ის**;
- გემინირებული ხმოვნები ორივე შემთხვევაში მარტივდება: **ეე > ე, იი > ი** და რჩება მეტი „სიმძლავრის“ თუ ფუნქციურად მეტად ღირებული ოდენობა - რიცხვის გამოხატველი ალომორფი: **-ე-ეს > -ეს, -ი-ის > -ის**.

გემინირებულ ხმოვანთა გამარტივება ენის განვითარების უფრო გვიანდელ ვითარებას ასახავს და მის ტენდენციაზე მიუთითებს.

ამდენად, ეტიმოლოგიურ ხაზზე ამგვარ ფორმათათვის ერთმანეთის პარალელურად გვაქვს **-უ || -ე || -ი** თემის-ნიშნიანი ვარიანტები, ხოლო სინქრონიულ ხაზზე მას უთემის-ნიშნო ვარიანტიც ემატება:

(1) უ-ნ+უ-ეს || უ-ნ+ე-ეს || უ-ნ+ე-ის || უ-ნ+ი-ის || უ-ნ-ეს || უ-ნ-ის
OV-თქმა-AOR.S3.PL

*უ-ნ-ოვ-ეს > უ-ნ-უ-ეს > უ-ნ-ე-ეს > უ-ნ-ე-ის > უ-ნ-ი-ის
OV-თქმა-THM-AOR.S3.PL

(2) გო-უ-ტ+უ-ეს || გო-უ-ტ+ე-ეს || გო-უ-ტ+ე-ის || გო-უ-ტ+ი-ის
|| გო-უ-ტ-ეს || გო-უ-ტ-ის
PRV-OV-გაშვება-AOR.S3.PL

*გო-უ-ტ-ოვ-ეს > გო-უ-ტ-უ-ეს > გო-უ-ტ-ე-ეს > გო-უ-ტ-ე-ის >
გო-უ-ტ-ი-ის
PRV-OV-გაშვება-THM-AOR.S3.PL

მაშასადამე, გამოიყოფა ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვისათვის აორისტში სხვადასხვა ვარიანტს გვიჩვენებენ:

უნეეს || უნეეს || უნეის || უნის || უნის „უთხრეს“, გოუ-ტუეს || გოუტეეს || გოუტეის || გოუტის || გოუტეს ||

გოუტის „გაუშვეს“. გლოსირებული ჩანაწერისას გამოჩნდა, რომ ყველა ფორმას აქვს ერთნაირი კვალიფიკაცია, მხოლოდ ძირებული მორფემა სხვადასხვაგვარადაა გახმოვანებული და ხმოვანი ელემენტი, რომელიც წარმოშობით თემის ნიშანია (რადგან აორისტში თემის ნიშანი არა გვაქვს), პლუს (+) ნიშნით არის მიერთებული ძირებულ მორფემასთან.

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ტექსტების ანალიზისას თავს იყრის ისეთი ფორმებიც, რომელთა ამოსავალში -ოვ თემატური ნიშნის ალდგენა ვერ ხერხდება. **ზ-უ-ეს „ზილეს“, რაგად-უ-ეს „ილაპარაკეს“, ქ-ალე-ნჯირ-უ-ეს „დაინვინეს გვერდით“.** აღნიშნული შემთხვევები განზოგადებულად, ანუ ანალოგიის შედეგად მიღებულად მიიჩნევა (კარტოზია და სხვ., 2010 172).

შეიძლებოდა დამდგარიყო საკითხი -უ-ეს მიმდევრობის სინქრონიულ დონეზე ერთიან ალომორფად განხილვის თაობაზე, როგორც ეს მედიუმის ფორმებთან -ნან მორფემის შემთხვევაში გვქონდა, ხოლო დიაქრონიულად დაგვეშალა და -უ ელემენტი მხოლობითიდან გადმოყოლილ პირის ნიშნად მიგვეჩნია, მაგრამ ყურადსალებია ის ფაქტი, რომ -უ-ეს მომდევრობა, რომელიც შეიძლება არ იყოს მიღებული -ოვ-ეს მიმდევრობისგან, ისეთივე გარდაქმნებს განიცდის, როგორსაც ამოსავალში -ოვ ხმოვნიანი ვარიანტის დაშვების შემთხვევაში და ყველა პარალელური ვარიანტით წარმოგვიდგება: **რაგად-უ-ეს || რაგად-ე-ეს || რაგად-ე-ის || რაგად-ი-ის || რაგად-ეს || რაგად-ის „ილაპარაკეს“;** აქედან გამომდინარე, უფრო ლოგიკური ჩანს -ოვ თემისნიშნიან ფორმათა ანალოგიის დაშვება.

5.3.2. ინვერსიულ ფორმათა ჩანერა

ინვერსიის არსი პირის ნიშანთა ფუნქციების შენაცვლებაა. მსჯელობაში შემოდის ახალი ცნებები: მორფოლოგიური და

რეალური ანუ ინვერსიული (სუბიექტი ან ობიექტი), მათი შესაბამისი ჩანაწერებია: INVS - ინვერსიული სუბიექტი, INVO - ინვერსიული ობიექტი, S და O - რეალური სუბიექტი და ობიექტია¹. მაშასადამე, რეალურია პირის ის მორფემა, რომელიც ამ პირს გამოხატავს ყოველთვის ანუ არაინვერსიულობის შემთხვევაში; ხოლო ინვერსიულია პირის ნიშანი, რომელიც ამ პირს გამოხატავს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში — ინვერსიის დაშვების დროს.

მეგრულში ინვერსიულია გარდაუვალი ზმნები სამივე სერიაში და გარდამავალი ზმნები მესამე სერიაში (კარტოზია და სხვ., 2010, 179).

მხოლობითი რიცხვის ყველა პირში ინვერსიული სუბიექტი [INVS (= RS)] ნარმოდგენილია მორფოლოგიური ობიექტის [O (= MO)] ნიშნებით, ხოლო ინვერსიული ობიექტი [INVO (= RO)] – მორფოლოგიური მესამე სუბიექტური პირის [S3 (= MS3)] სუფიქსებით.

მ-ი-თას-უ-ნ-ი=ა

INVS1-OV-თესვა.PRF-THM-INVO3.SG-OBL=PTC:ISM

*O1-OV-თესვა.PRF-THM-S3.SG-OBL=PTC:ISM

გ-ი-თას-უ-ნ-ი=ა

INVS2 –OV-თესვა.PRF-THM-INVO3.SG-OBL=PTC:ISM

*O2-OV-თესვა.PRF-THM-S3.SG-OBL=PTC:ISM

უ-თას-უ-ნ-ი=ა

(*INVS3)- OV-თესვა.PRF-THM-INVO3.SG-OBL=PTC:ISM

*(O3)-OV-თესვა.PRF-THM-S3SG-OBL=PTC:ISM

შენიშვნა: მესამე ობიექტურ პირს მარკერი არა აქვს, აქ მისი შემოტანა პირობითია შეპირისპირების საჩვენებლად.

1. შეძლებოდა ინვერსიულ ოდენობათა ალსანიშნავად გამოგვეყნებინა ჩანაწერი: MS, MO, მაგრამ ვინაიდან /S/ და /O/ არაინვერსიულ ფორმებთან თავისთავად ასახავენ მორფოლოგიურ სუბიექტსა და ობიექტს, უმჯობესად ჩავთვალეთ /INVS/ და /INVO/ ჩანაწერის გამოყენება.

ანალოგიურად ჩაიწერება გარდაუგალი ზმნური ფორმა
(მედიკაციური და პოტენციალისი) სამივე სერიაში:

მ-ა-თას-ე-ნ=ო

INVS1-POT1-თესვა- POT1- INVO3.SG=QPTC

*O1-POT1-თესვა- POT1- S3.SG=QPTC

გ-ა-თას-ე-ნ=ო

INVS1-POT1-თესვა- POT1- INVO3.SG=QPTC

*O2-POT1-თესვა- POT1- S3.SG=QPTC

ა-თას-ე-ნ=ო

(*INVS3) -POT1-თესვა- POT1- INVO3.SG=QPTC

(*O3)-POT1-თესვა- POT1- S3.SG=QPTC

ანალოგიურია ვითარება მრავლობით რიცხვშიც. ინვერ-
სიულ ზმნებში მრავლობითობას სამივე პირში ერთი და იგივე
მორფები (-თ, -ან || > ა, -ეს, -ნ) გამოხატავენ. ობიექტური
პირის ნიშნებით პირია გამოხატული, ისინი აღინიშნება რო-
გორც INVS; ხოლო სუბიექტის მრავლობითობის გამომხ-
ატველი მორფებით რეალური ობიექტია აღნიშნული, მისი
ჩანაწერია INVO. PL.

მ-ა-ღოღ-ე-ნან=ო

INVS1-POT1-კეთება- POT1- INVO3.PL=QPTC

*O1-POT1-კეთება- POT1- S3.PL=QPTC

გ-ა-ღოღ-ე-ნან=ო

INVS2-POT1-კეთება- POT1- INVO3.PL=QPTC

*O2-POT1-კეთება- POT1- S3.PL=QPTC

ა-ღოღ-ე-ნან=ო

(*INVS3) -POT1-კეთება- POT1- INVO3.PL=QPTC

(*O3) -POT1-კეთება- POT1- S3.PL=QPTC

5.4. ემფატიკური ხმოვნები და ენკლიტიკური სუფიქსები

მეგრულში ირიბ ბრუნვათა (მოთხრობითი, მიცემითი, მოქმედებითი, ვითარებითი, დანიშნულებითი) ფორმებს დაერთვის ემფატიკური ხმოვნები: **ი**, **უ** ან **გ**. რაც შექება ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართულ ი ხმოვანს, ეტიმოლოგიურად იყი სახელობითის ნიშანია, ხოლო სინქრონიულ დონეზე ბრუნვის ნიშნის შემადგენელი ნაწილია: თანხმოვანფუძიანებთან – **-იში**, ხმოვანფუძიანებთან – **-ში**, რადგან ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან, განსხვავებით სხვა ირიბი ბრუნვებისაგან, **უ** ან **გ** ხმოვნები არ დასტურდება (კარტოზია და სხვ. 2010, 121-122). ემფატიკური ხმოვნის აღმნიშვნელი აბრევიატურაა: EV (Emphatic vowel).

ემფატიკურ ხმოვნიან სახელურ ფორმათა გლოსირებული ჩანაწერი კეთდება ბრუნვის ნიშნისა და ემფატიკური ხმოვნის გლოსას მინიჭებით. მაგალითისთვის

ავილებთ მოთხრობითი ბრუნვის ფორმას:

კატუ-ქ-ი
კატა-ERG-EV

კატუ-ქ-უ
კატუ-ERG-EV

კატუ-ქ- გ
კატუ-ERG-EVE

ემფატიკური ხმოვნები დაერთვის ზმნურ ფორმებსაც მხოლობით ან მრავლობით რიცხვში, თუკი პირის ნიშანი -ს ან -ეს მორფებითაა წარმოდგენილი. აღნიშნული მორფები III პირის ფორმებთან დასტურდება მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში აწმყოსა და წყვეტილის მწკრივებში.

ხანტ-უნ-ს-ი
ხატვა-THM-PRS.
S3.SG-EV

დო-ხანტ-ეს-ი
PRV-ხატვა-AOR.
S3.PL-EV

ხანტ-უნ-ს-უ
ხატვა-THM-PRS.S3.SG-EV

დო-ხანტ-ეს-უ
ხატვა-THM-AOR.
EV

ხანტ-უნ-ს-გ
ხატვა-THM-PRS.
S3.SG-EV

დო-ხანტ-ეს-გ
ხატვა-THM-AOR.
S3.SG-EV

ენკლიტიკურ სუფიქსებში იგულისხმება კავშირ-ენკლიტიკები და ნაწილაკები.

მეგრულისთვის დამახასიათებელია კავშირ-ენკლიტიკები: **-ნი** და **-და**. -ნი’ს ცვეთა ახასიათებს, რის შედეგადაც რჩება თანხმოვანი (-ნ) ან ხმოვანი (ი || გ) (Кипшиძე 1914,0140-0141; კარტოზია და სხვ. 2010, 303). შესაძლებელია, -ნი კავშირი ფონოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად საერთოდ დაიკარგოს, მაგრამ კვალს ტროვებს გადაწეული ინტონაციური მახვილით. თუკი -ა მორფემას დაერთვის, მაშინ გადაწეულ მახვილთან ერთად -ა’ს ასიმილაციურად სახეშეცვლილ -ე’საც ვიღებთ. საგულვებელი -ა მორფემა ან კავშირებითის ნიშანია, ან სხვათა სიტყვის ნაწილაკი (კარტოზია 1958, 243-235).

შორიშა *მე-უ-ნან=ნი > მე-უ-ნან=ი

შორს.ADVPL PRV-OV-(წასვლა)-PRS.S3.PL=CONJ(that)

„შორს რომ მიღიან...“

აქ ჯერ გემინაცია ხდება და შემდეგ კავშირ-ენკლიტიკის გამარტივება.

-და’ც ქართული თუ-ს მნიშვნელობის კავშირ-ენკლიტიკაა, რომელიც ზმნას დაერთვის და ქვეწყობილ კონსტრუქციას ქმნის. -ნი’საგან განსხვავებით, იგი არ ცვდება.

მა ქო=მო-ვ-რთ-ი=და, თი კოს ქოვძირუნქ.

PPTC=PRV-S1-მოსვლა.AOR-PM=CONJ(if)

„მე თუ მოვედი, იმ კაცს ვნახავ“.

-და ენკლიტიკა მონაწილეობს აგრეთვე კითხვითსიტყვიან დიალოგებში, კერძოდ, ॥ პირის რეპლიკაში; დაერთვის ან კითხვით სიტყვას ან ზმნას, იმის მიხედვით, რომელია ფოკუ-

სირებული. ამგვარ ოდენობას „ექოკითხვას“ უწოდებენ და
მისი გლოსაც განსხვავებულია:

-რა გქვა?

-ვინ მოდის

-რა=და, ლევანი.

-ვინ მო-დი-ს=და, ლევანი.

რა.QPRN=EPTC

PRV-სვლა-PRS.S3.SG=EPTC

-ო კითხვითი ნაწილაკია. ის ძირითადად ზმნას დაერთვის,
თუმცა არ არის გამორიცხული დაერთოს სხვა მეტყველების
ნაწილს, მათ შორის მრავლობითი რიცხვის ფორმებს. ყოვ-
ელთვის დგას სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში.

-ო კითხვითი ნაწილაკი განიმარტება შემდეგი აბრევიატუ-
რით: QPTC (Question Particle):

კოჩ-ქ=ო

ჭარ-უნ-ს=ო

თაქ=ო

თინა=ო

კაცი-

წერა-THM-PRS.

აქ.

ის.

ERG=QPTC

S3.SG =QPTC

ADVPL=QPTC

DemPronoun=QPTC

-(ო)ი გაძლიერებითი ნაწილაკია, ქართული -(ც)ა’ს ბადალი.
კითხვით ნაცვალსახელებთან და ზმნიზედებთან დართვისას
გამოხატავს რელაციას. აღინიშნება PTC(Particle)-თი.

თინა=თი

მი=თი

ის=PTC

ვინ. Rel.Pronoun=PTC

სხვათა სიტყვის ნაწილაკები მეგრულში, ისევე, როგორც
სხვა ქართველურ ენებში, სუფიქსურია: -მაქი || მაქ „-მეთქი“
| პირის ნათქვამს გადმოსცემს, -შო „-თქო“ || პირის ნათქვამს
გადასცემს III-ს, -ა ნაწილაკი III პირის ნათქვამს გადმოს-
ცემს. სხვათა სიტყვის ნაწილაკების შესაბამისი გლოსა ასე-
თია: PTC:ISM(1), PTC:ICM(2), PTC:ISM(3).

სხვათა სიტყვის ნაწილაკებს შორის მეგრულში ყველაზე პროდუქტიული -ა ნაწილაკია (დანელია 1991, 10-11), რომელიც მრავალფეროვანი ფონეტიკური ვარიაციებით ხასიათდება და დამოუკიდებლად იშვიათად დასტურდება. მისი ფონოლოგიური პოზიცია **უ** ან **ი** ხმოვნების მომდევნოდ როგორც სახელებში, ასევე ზმნებში:

ა) **უ** ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელი + -ა:

(1) ფულუ=ა

თხუნელა-(NOM)=PTC:ISM

ბ) მხოლობითი რიცხვის S3 პირის **-უ** სუფიქსით დაბოლოებული უწყვეტლის, ხოლმეობითის ან წყვეტილის ფორმა + -ა:

(2) ჭარ-უნ-დ-უ=ა

წერა.PST-THM-IMP-S3.SG=PTC:ISM

(3) დო-ჭარ-უნ-დ-უ=ა

PRV-წერა.PST-THM-IMP-S3.SG=PTC:ISM

(4) დო-ჭარ-უ-ა

PRV-წერა-AOR.S3.SG=PTC:ISM

-ა ნაწილაკი დამოუკიდებლად სახელდება -ი-ფუძიანებთანაც (ი. ყიფშიძე, გ. კაჭარავა), მაგრამ -ი ფუძიან საზოგადო სახელად მეგრულში შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ქართულიდან შესული „დევის“ ტრანსფორმირებული ფორმა **ნდი/დი**, **შდრ.**: **ნდი-ქ (დევი > *დეი > დი > დი; დ'ს წინ ნ შეიძლება განვითარდეს: ნდი)**. რაც შეეხება თანხმოვანფუძიანი სახელების სახელობითი ბრუნვის ფორმას, შეიძლება ითქვას, რომ იქაც **-ა** ნაწილაკი დამოუკიდებლად იხმარება:

(4) კოჩ-ი=ა

კაცი-NOM=PTC:ISM

ზმნურ ფორმებში **-ი** ხმოვანი, როგორც პარადიგმის ნიშანი, მოცემულია უწყვეტელში, ხოლმეობითსა და წყვეტილში, I-სა და II პირში:

(5) ვ-ჭარ-უნ-დ-ი=ა

S1-წერა.PST-THM-IMP-PM=PTC:ISM

(6) დო-ვ-ჭარ-ი=ა

PRV-S1-წერა.AOR-PM=PTC:ISM

-ა ნაწილაკის მონაცვლე ვარიანტებია: -ე, -ია/-იე, -ვა/-ვე.

მათი განაწილების განსასაზღვრად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ფონეტიკური გარემო, მეორე მხრივ, კონსტრუქცია, მარტივია იგი თუ რთული.

